ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოემბერი

ნიანგი

№ 21-22. 87

1917 – რევოლუცია!

1987 – კარიერა!

„ოქტომბერი და გარდაქმნა:
რევოლუცია გრძელდება“
ანტიპოდების ალაგმვად,
შრომად და შემოქმედებად!

ალეკსანდრ ჯემალ ლოლუასი

ჯემალ აფციაური

ვეფიზონტიდან ვეფიზონტამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე ვ ო ლ უ ც ი ა! — ეს სიტყვა გაზაფხულის ქუხილივით გაისმა და ახალმა ერამ უამთასვლა დაიწყო!..

რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ის გათოშილი მატროსი იყო, ნევის პროსპექტზე დანთებულ კოცონს რომ უჯდა გულში შაშხანაჩახუტებული! — ეს იმედი იყო, შეცვლისა და განახლების იმედი!..

მილიონები გაჰყურებდნენ მომავალს, რომელსაც სიკეთე და ბედნიერება უნდა მოეტანა, მაგრამ ძნელი იყო წინ სავალი გზა, ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო ამბოხებული ისტორია, თუმცა განთიადი უკვე მზით ივსებოდა და სასახლის მოედანზე ლენინივით ეგდო იმპერატორის პორტრეტი!..

იარა დრომ!..

გოლიათი იზრდებოდა და ყველაზე ჭეშმარიტი რევოლუციის პირმშო ახალ სიმაღლეებს უსწორებდა მზერას!..

ბევრი რამ გადაფახდა, მხოლოდ ნათელი და ბნელი კი არ განიყო, ახლებურად აზროვნების ცეცხლში გამოხურდა და გამოიწვა წარსულში ურყევად მიჩნეული შეხედულებები! მძიმე იყო ეს დრო, მძიმე! ისტორია, ეს პირუთვნელი ჰეროდოტე, ზუსტად აღნუსხავდა ჩვენს ყოველ ნაბიჯს — სად სწორზე ვიარეთ, სად — ლაფში გავტოპეთ, სად — შევცდით და სად — დაფიქრებით და დინჯად გასავლელი დაუფიქრებლად და თოხარიკით გავიარეთ!..

ძნელია იყო პირველი, როცა ამ გზაზე მხოლოდ მსუბუქ თეორიებს, ჰიპოთეზებს, უტოპიებს უვლიათ და მძიმე პრაქტიკამ კი პირველად დაადაბიჯა ფეხი!..

მაგრამ წინ მიგვიძღოდა იმის რწმენა, რომ მომავლის შვილები ვიყავით და ჩვენი ყოველი წაჩოქება ჩვენვე უნდა წამოგვეყენებინა ფეხზე, რომ ჩვენი კალმის ნახნავში მხოლოდ სიმართლე გვეთესა!

საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებმა მსოფლიოს უჩვენა დემოკრატიის, საჯაროობის მანამდე უცნობი სახე. საქვეყნო აზრი და ფიქრი ზემოდან კი არ მოწვეთავდა, ხალხის მასებიდან ამოჩქეფდა, როგორც მიწის წიაღიდან ამოხეთქილი წყარო!.. დემოკრატიის ამ სათავესთან ლენინი იდგა „უბრალო პალტოთი და უბრალო კეპით", როგორც ამას ჩვენი ნიჭიერი პოეტი ამბობს!..

მხოლოდ საკუთარი სუნთქვით ვთბებოდით ციმბირის უინვაში და ასე ვაშენებდით ქალაქებს, კაშხალებს, ჰესებს!.. ჩვენსავე რწმენას ვასხამდით რკინაბეტონად მომავლის ბალავარში!.. ასეთი იყო იმ შეფიცულთა და განდგომილთა ძმობა, რომლებსაც სმოლნის სასახლესთან მოდარაჯე ჯარისკაცის შინელივით უბრალო სახელი — „ბ ო ლ შ ე ვ ი კ ი" ერქვა!

ჩვენც გვჭამდა ბიუროკრატიზმის ჩრჩილი, რევოლუციის მონაპოვარში მახრახავით შემძვრალი მედროვე, უტოპიური ოცნების ცისფერ ბურუსში მოტივტივე ინტელიგენტი, მაგრამ ჩვენ ყველაზე მეტად წითელი ფერი გვიყვარდა, რადგან ეს სიცოცხლის ფერი იყო!..

იყო, ყველაფერი იყო!..

იყო დროც, როცა ცოფიანი ძაღლივით იყეფებოდა მაუზერი არავიძეთა ხელში და კედელზე ტყვიით მილურსმული სიმართლე რეაბილიტაციას ელოდა!.. როცა განუკითხავად ვკენკავდით ზემოდან გადმოყრილ საკენკს, როცა ადამიანებთან ერთად ვატუსაღებდით წიგნებს, რომლებსაც ცივილიზაცია ელოდა, ვახრჩობდით მუსიკას, მკაცრი მზერით ვშლიდით ფერწერულ შედევრებს!..

ლამის დაგვიმახინჯა სმენა იმის გაგონებამ, რომ ჩვენს ქვეყანაში არც სადმე ბერწი მინდორი იყო, არც ქალალდზე მოყვანილი მოსავალი, არც თანამდებობის პირთა სინდისის კორუფცია და მასების ენთუზიაზმი სწრაფად ნთქავდა უსაშველოდ გაზრდილ გეგმებს!..

სასურსათო მაღაზიაში კი ამაოდ ელოდნენ ძეხვს, ხორცს, კარაქს!..

იყო, ყველაფერი იყო!..

მაგრამ იყო მთავარზე მთავარი — ის, რომ ადრე თუ გვიან ველარ შევურიგდებოდით ქვეყანაზე მოხეტიალე სიცრუეს, მოჩვენებითობას, 'მავანთა თავგასულ პატივმოყვარეობას და ყალბ ენთუზიაზმსაც ბატივით აღარ წამოვაფრენდით!.. ვერც შუა გზაზე წელმოწყვეტილ კამპანიურობას მივცემდით არსებობის უფლებას!..

ვ ე ლ ო დ ი თ!..

გ ვ ჯ ე რ ო დ ა!..

ვ ყ ვ ე ბ ო დ ი თ! —

რადგან პირველნი ვართ იმ გზაზე, რომელზედაც ისტორიას ჯერ არ უვლია!..

მანამდე კი ისევ გვეწვოდა ხელისგულები ხმამაღალი ტაშით, რომელიც სიყალბის ეჭოს გამოსცემდა!

და მაინც გვჯეროდა!.. ველოდით!..

გვჯეროდა, რომ დემოკრატია მხოლოდ იმის ხმამაღლა თქმა არ არის, რაც რბილი კარების იქით მჯდომს სიამოვნების ღიმილს მოჰგვრის.

ეს დროც დადგა — გ ა რ დ ა ქ მ ნ ა! რევოლუციის ეს მოუცილებელი თანამგზავრი ჩვენი ყოველდღიურობის მოწმე და მონაწილე გახდა. აღარაფერია ყურს უკან სათქმელი და ბრჭყვიალა სიტყვებში დასამალი. ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი დაერქვა! სიახლის მძლავრი ხელი ჩვენს რესპუბლიკაშიც ტრიალებს და ამიტომ ამოდის ხოლმე მზე უფრო მხიარულად!..

ჯერ კიდევ ბევრი სიბინძურე დადის საქართველოში კაენის ნაბიჯით და ერის სახელს მუწუკად აყრია. გუშინ თითქოს ვერ ვამჩნევდით იმას, რასაც დღეს ჩვენი რიხხვის ქარიშხალი მიჰგვის. კაქტუსივით ვუვლიდით და ვზრდიდით სიცრუეს, თითქოს ამ ჩვენს მადლიან მიწაზე არც ნარკომანი სადმე დაბარბაცებდა, არც მეძავი ეკლობოდა გარყვნილების ჭაობში!..

ცხოვრებამ კი მაინც გაშალა დავთარი და თავნი და ვახში ერთად მოგვთხოვა!..

ანაშით მთვრალი უგუნურება დაეხეტება ჩვენს გვერდით, თხევადი სიკვდილი დაჰპატრონებია ახალგაზრდობის ერთ ნაწილს!.. დივერსანტივით შემოიპარა ჩვენს ქვეყანაშიც მარიხუანა!.. დაბორიალებენ მორფინ გაბრუებული ქართული გვარები ამ ლამაზი ცის ქვეშ, მომავლის ამ მამებსა და დედებს ხელში აღა-მაჰმად-ხანისგან გამოწვდილი დანა უჭირავთ ერის კასტრაციისთვის!.. ამიტომ მათ დანდობა არა აქვთ! ჩვენ მათაც იმ მატროსის სახელით უნდა ვებრძოლოთ, ლამის ფეხშიშველი კრონშტადტს რომ უტევდა და ბალტიკის ტალღებივით გადასდიოდა მკერდზე „ტელნიაჟკის" ზოლები!.. მათ დიდგორზე ამოსული ჭინჭარიც კი სჯობია! ამიტომ დანდობა არა აქვთ!

ნარკომანი ხვალინდელი დღის მკვლელია და რომ შეეძლოს, თამარს საფლავში ჩაუვარდება, რათა ყელიდან ბასიანში ნალოცი ჯვარი ჩამოხსნას ერთი ამპულა მორფისთვის! ეს ის არის, ვინც საკუთარ დედასაც კი ფულზე გადაახურდავებს ერთი „ჩეკი" ანაშისთვის!..

დღეს ამას ხმამაღლა ვამბობთ, რადგან მეტის მოთმენა აღარ შეიძლება! აბა, სიკვდილით მოვაჭრეებზე რაღა ვთქვათ?!. მჯერა, რომ ქართული მიწა არ მიიღებს მათ საფლავებს და ზევით ამოაფურთხებს ამ ნაძირალების ძვალსა და ლეშს!.. მათ რომ შეეძლოთ, ალაზნის ველსაც ხალიჩასავით აკეცდნენ და შაჰაბასის აჩრდილს მიჰყიდდნენ!.. ასეთ ზნეობრივ დაცემას ვარდნის მანძილი არ გააჩნია! ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ იმ ფულით საკუთარ შვილებს გველის კვერცხებს უხარშავენ და ოჯახშიც სხვისი ცრემლი და უბედურება შეაქვთ?! როგორ არიციან, მაგრამ სიხარბეს განიერი პირი აქვს, სიზარმაცეს კი — უძვლო ხელები! რატომ იშრომონ, როცა შეიძლება ეშმაკს დაუდგნენ მსახურად?

საზოგადოება ჰუმანურია, მაგრამ არც კანონს დასჩლუნგებია ორლესული! ფრთხილად, არაკაცებო, სანამ ერის რისხვას კლდის ქვეშ არ შეუძვრენიხართ!

დიახ, გარდაქმნა აქაც ამბობს თავის საქმიან სიტყვას!.. ხოლო იმ ექიმს, ვინც ნარკოტიკით ვაჭრობს, ტანზე უნდა შემოვაწვათ თეთრი ხალათი, მისი სახელი და გვარი კი სანაგვეზე ვისროლოთ!..

ამას ბრძანებს ერი, დიდი კულტურის ემბაზში განათლული, უკვდავებისთვის დაბადებული!..

ან იმას რა ვუყოთ, რომ ჩვენდა სამარცხვინოდ, პროსტიტუციამ შიშველი ბარძაყები საქვეყნოდ გამოაჩინა? რომ საქართველოშიც მონღოლთა ურდოსავით შემოიჭრა ვენერულ სნეულებათა ლაშქარი?

ქართველი ქალი ან მამაკაცი რომ ათასშანგს გვერდით მიუწვება, მართლა განგაშის ზარები უნდა დავარისხოთ!..

სასტუმროს ნომრებშიც თურმე ფული ღრეობდა და სამიკიტნოდ ქცეული ქალის სხეული ფასითა და ნიხრით ვაჭრობდა!.. ხოლო შარვლიანი ულაყები ვნებიანი ხვიხვინით ეძებდნენ მძაფრ განცდებს!..

ფულით ყველაფერს იყიდი, გაფრენილ მერცხალს თეთრად შეღებავ, ისევ ფულით! — ასე სწამს ზოგიერთს და საკუთარი მამის ულვაშს გაყიდის ისევ ფულისთვის! მისთვის არც მიწაა, არც წყალი, არც სამშობლო! — ყველაფერი ეს რა არის პირად კეთილდღეობასთან, ნებიერ სიმდიდრესთან შედარებით! მერე რა, თუ გიორგის ცრემლი დღესაც ეძებს ერთაწმინდაში დაკრძალულ პაატას, მერე რა, თუ ზოგი უმადური, პურით ქართულით დაპურებული და წყლითა ქართულით დარწყულებული, ლაფში ათრევს რესპუბლიკის სახელს, თითქოს ჩვენს ლიმონს ნაყოფი კი არა, ყვითელი მუწუკი ესხას, ეზოში ციმბირული ნაგაზისხელა ძროხები გვიბღავის და ჩვენი ინდაურიც ფილოსოფოსი კი არა, სხვისაზე ჩერჩეტია... ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „იმიტომ, რომ ქართულია“!.. გარდაქმნის პროექტორმა უნდა გაუთბოს ცივი შუბლი სხვის სალოცავ ტაძარში უკელაპტროდ შესულ სტუმარსაც!..

ესეც დროის მოთხოვნაა! დიახ, გვრცხვენოდა საკუთარი თავისა, როცა სამსახურში მისულები უსაქმურობას მოვისვამდით გვერდით და პირღია მთქნარებით ველოდით დროის მოკვლას! ნუთუ ეს საკუთარი ხელების შეურაცხყოფა არ იყო ან მოქალაქეობრივი სინდისის მუნი და ქეცი?

იყო, როგორ არ იყო, მაგრამ შევეჩვიეთ — საქმე სახედარი გვეგონა, რომელიც იქ გვიცდიდა, სადაც ერთხელ დავბამდით!.. სამაგიეროდ ტრიბუნასთან ამოხეთქდა ხოლმე ჩვენი დაუხარჯავი ენერგია, ფუტურო ენთუზიაზმი და ვიცოდით, სად ტაში უნდა დაგვეკრა, სად — სერიოზული სახე მიგვეღო, სად — „ხანგრძლივი ოვაციები“ გაგვემართა და სად — ფეხზე წამოვშლილიყავით, რათა ჩვეულებრივ ადამიანად დაბადებული ლამის ღმერთად შეგვერიცხა!..

ამან არაფერი მოგვცა!..

დრომ განწვალა მრუდი და მართალი — დღეს საქმე ზის მაგიდასთან, საქმე ადის ტრიბუნაზე, საქმე ზის რაიკომის მდივნად თუ ალმასკომის თავმჯდომარედ, — მისი კეთილშობილება — საქმე!..

როგორ ავიტანოთ თუნდაც ის, რომ სამუშაო საათებში კიდევ ამდენი მოცლილი ცვეთს დედაქალაქის ქუჩებსა და მოედნებს? რომ მსუბუქ მანქანებში მრუდე გზებით ნაპოვნი კეთილდღეობა უზით საეჭვო ყოფაქცევის ქალივით?!

ფრთხილად, მეგობრებო! რევოლუცია ისტორიის არქივს არ ჩაბარებია! განახლების გრიგალი ისევ გუგუნებს და, ვაი იმას, ვისაც მისი ცხელი შოლტი მისწვდება!

რუბიკონი გადალახულია! უკან დახევა აღარ შეიძლება!..

დღესაც არიან საკუთარ კანში ჩაქყუდროებული ადამიანები, რომლებიც ეჭვის თვალით უყურებენ გარდაქმნის დიად პროცესს, ხოლო ეთერის მეძავები — დასავლეთის რადიოსადგურები ქვეყნებს ყურში ჩახჩხავიან პრეზიდენტის „ზენა სიტყვებს“: — არ დაიჯეროთ! საბჭოთა კავშირი რკინის დიდი გალიაა, ბოროტების იმპერიაა, ეს გარდაქმნაც სპექტაკლია, პროპაგანდისტული სპექტაკლიო!..

დიახ, ბევრი რამ გვაქვს გარდასაქმნელი! დრო აღარ გვაპატიებს დაყოვნებას, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დემოკრატია თაფლის ის გოლეულია, რომლის არასწორად გამოყენებამ შეიძლება ყელიც დაგვწვას და თავიც აგვატკიოს! ის არ უნდა გადაიზარდოს დემაგოგიაში. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ დავიწყებული სიმღერაა და ამიტომ დაწერილსა თუ ტრიბუნიდან ნათქვამ სიტყვას საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობა უნდა აკონტროლებდეს!..

ვთქვათ, არავინ გვიშლის, მაგრამ ვთქვათ მისი უდიდებულესობა — სიმართლე! ზოგიერთმა კი უკვე სცადა დემოკრატია იმ თეთრ ხილაბანდად ექცია, საზოგადოებას რომ მოხერხებულად აუხვევდა თვალებს. ამის მაგალითებმა და შესაბამისმა კრიტიკამაც გამოუონა პრესაში — აქაოდა, კონსერვატიზმი არ დამწამონო, ვინც ჯერ არს, კოლექტივს ამოარჩევინებს წარმოების დირექტორს, გამგეს, მმართველს, მერე ისევ „ზემოთ შეთანხმებულსა“ და „თავისას“ დასვამს ხელმძღვანელად!..

ეს, რბილად რომ ვთქვათ, დემოკრატიის აბუჩად აგდება, გამასხარავებაა, ხოლო ვინც ამას სჩადის და პარტიის, ხალხის გადაწყვეტილებას ამოფარებული უონგლიორობს, ის დღევანდელობის არავიძეა! მიეცი უფლება, გასაქანი და მერე ნახე, როგორ აიყვავებს ხელებს მართალთა სისხლით!..

გარდაქმნა ისიც არის, რომ დროა ქართველობამ შვილების სიყვარული ვისწავლოთ, თორემ სირცხვილია, როცა მომავალს წვერულვაშიანი და დაქალებული „პატარებით“ მივუვალთ! ჯერ ხომ ბავშვებს ვუთქვეფთ ხოლმე გონებას გოგლიმოგლივით, ინიციატივის, თავისთავადობის უნარს ვუკლავთ, მერეც სულ თვალწინ გვიზის, ხელიხგულზე გვყავს — წიგნმა არ დაგვიღალოს, სამუშაომ არ შეგვიწუხოს! რა მეთოდებით აღარ ვუკაფავთ ამ ეკალბარდიან წუთისოფელს და იქნებ ესეც არის იმის მიზეზი, რომ ბევრი მათგანი მუწუკის სითამამით, ფეთრის ურცხვობით ზის ხოლმე საზოგადოების სხეულზე, როგორც პარაზიტი, შკვლელი, ქურდი, ნარკომანი ან უბრალოდ — ცინიკოსი, თვალს რომ არაფერი უთბობს და ყველგან ცუდს ხედავს, გესლი რომ არ უთავდება!..

ღმერთმა ნუ ქნას, ასეთები უმრავლესობა იყოს, თორემ მაშინ უნდა ჩამოვმსხდარიყავით და ჩვენი უნაყოფო მომავლისათვის ტაში დაგვეკრა: „ჩუპრი-ჩუპრი, ჩუპრი-ჩუპრი, დარეჯან!..“

ასეა: აწმყოს თუ ღაბაბი გაუჩნდა, მომავალი ღიპს დაიდებს, დამძიმდება და ნინ ნაბიჯის გადადგმა გაუჭირდება!..

ასეთია ცხოვრების ულმობელი ლოგიკა!

გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიის დიდ სიკეთეს თავისი ისტორიკოსი მოევლინება, ამჯერად კი იმაზე გვმართებს ფიქრი, ამ რევოლუციურ აღტყინებას როგორ დავუდოთ დვრიტა, საქმე და არა — ცარიელი სიტყვა!.. იმათაც უნდა თვალი ავუხილოთ, ვინც დემოკრატია ლამის საფრთხობელად აქციოს და, საჭიროა თუ არა, თითს იქნევს — „დემოკრატია ცეცხლია — შორიახლოს უდგახარ — გაგათბობს, ახლოს მიხვალ — დაგწვავს! არიქა, ზედმეტი არაფერი წამოგცდეთო!..“ ეს ძირითადად ის ხალხია, უზრუნველობისა და კეთილდღეობის თბილ ბუმბულში გახვეული მხოლოდ უხეირო დედალივით რომ კაკანებს და კვერცხი კი არ უჩანს, ვისაც გულისგულში განახლების სიო არაფრად ეჭაშნიკება, გარდაქმნაც სხვისი შუბლის პატიოსნება ჰგონია, თვითონ კი ისევ ძველ გზას მიჰყვება, მაგრამ ხმაურითა და დასანახად კი არა, ჩუმად, ფეხისწვერებით!..

მისახედი კი ისევ ბევრზე ბევრია!.. ჯერ კიდევ გვიზის უმაღლესი სკოლის მერხზე პინგვინი, რომელსაც ანტარქტიდა არც კი გაუგონია, ჯერ კიდევ მახრჩობელასავით ჰკიდია საზოგადოებას კისერზე ზოგიერთი მძიმე ამბიციები!.. ხოლო საქართველო წარსულმა წლებმა ლამის მედროვეების, კარიერისტების, მლიქვნელების, ბიუროკრატების, უშრომელშემოსავლიანების, დღევანდელი კვაჭი კვაჭანტირაძეების სახელექციო რესპუბლიკად აქცია!

გარდაქმნას მათთვისაც მზად აქვს ტაბიკი და აპეური! — ან უნდა საერთო სახნავ-სათესში ჩაებან, ან საზოგადოება ხმელი ტოტებივით ჩამოსხეპს მათ გვარებსა და სახელებს!..

ასეთია მისი უდიდებულესობების — გარდაქმნის, საჯაროობის, დემოკრატიის ნება!

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

ფანაჯრიდან ფანაჯრამდე

ნახატები ვახტანგ კუციასი

ჩვენი კაცი ერთი — ასხაც ვიცი, არ შეუშინდება!..

თქმულა: გმირის კაცისათვის თქმა და ქმნაო ერთი არი!



შენ შეკრთი და ლამაზ თითით ღიმილითა დამემუქრე!..

...ეს ოცდაათი წელიწადი გულგრილობით იმსახურე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

...1917!..
1 9 8 7!..
სამოცდაათი წელიწადი
    გზნებით იარე!..
ერთი დღე რაა, —
    ერთი დღეც არ გქონია მშვიდი, —
დარში,
    ავდარში
    წითელ დროშას მოაფრიალებ!
გათოშილ გულებს
    იმედით და რწმენით ათბობდი,
არაფერი არ ითაკილე,
    არ იუარე,
და იმპერიას,
    შოვინიზმის თოკით გათოკილს,
დაატყდი თავზე,
    სამუმივით გადაუარე!
ბარით და ნიჩბით
    აშენებდი
        ქალაქებს,
        ჰესებს,
მშიერს და ტიტველს
    ბევრჯერ თავზე დაგთენებია
და ამკვიდრებდი
    გაუგონარ
        ადათს და წესებს,
გზას მიყვებოდი
    შეუჩვეველს,
        ნარ-ეკლებიანს!
შეცდომებიო?! —
    კი, ბატონო,
        შენი სახელით
ბევრმა მზაკვარმა ჩაიდინა
    საქმე მზაკვრული! —
კლავდნენ ამაყ სულს,
    ამაყ რწმენას —
        დროშად აღერილს —
შუაღამისას
    მაუზერის კარზე კაკუნით!..
ყველას მიაგო
    სამართალმა ხვედრი თავისი
და ისტორიამ
    დაარისხა
        რისხვით ზარები!..
დღეს ისევ შენვე
    დაგვიბრუნე
        შენი ხალისი,
შენი სიმართლე,
    შენი რწმენა,
        გულზიარობა!
დიახ, ხომ მოდგა
    ჟამი იგი
        გულახდილობის?!
რასაც ველოდით,
    ახლა მაინც ხომ მოვესწარით?!
უნდა შეხორცდეს
    ათასგვარი ჩვენი ჭრილობა! —
წინსვლის მიზანი
    და იდეაც
        სწორედ ეს არი!
დიახ, მრავალი დაქცეული
    აღსადგენია,
რწმენა და გული
    ფუყე სიტყვით არ გავაცივოთ!
ენთუზიაზმი არ ჩავუქროთ
    ხალხის გენიას!
ბოლოს და ბოლოს
    სიტყვა საქმედ უნდა ვაქციოთ!
მაშ, ერთად ვიყოთ,
    სიმართლისთვის ერთად ვიომოთ!
სიკეთის რწმენა
    დავიწეროთ გულის ფიცარზე!
არ უწერია
    დაბერება კაცობრიობას,
რევოლუციავ,
    სანამ შენ ხარ დედამიწაზე!

ელდარ კერძევაძე

რეცეპტურა

ჯერ კიდევ ათას ცხრაას ჩვიდმეტ წელს დაიწყო საზოგადოების გაჯანსაღებისაკენ მიმართული დიადი გარდაქმნები, რომელთა საფუძველზედაც ამჟამად შემუშავებულია რადიკალური სამკურნალო საშუალებები სხვადასხვა სოციალური ენისა და ანომალიების სამოლოო აღმოფხვრისათვის.

ვინც დანებოვნებულია ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის, განდიდების მანიის, განუკითხაობის, მექრთამეობის, ლოთობის, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, პროსტიტუციის, მომხვეჭელობის, წამგლეჯობის, სპეკულაციის, ხალტურის, სიყალბის, ეგოიზმის, უქნარობის, ბედოვლათობის, ქედმაღლობის, ყოყოჩობისა და სხვა მსგავს დაავადებათა მიკრობებით, განკურნებისათვის უნდა მიიღონ მეტად ეფექტური საშუალება — **რადიკალური გარდაქმნა!**

მკურნალობა ტარდება ნებით ან. საპიროების შემოხვევაში, იძულებით!

შენიშვნა: მკურნალობის დაწყებამდე და ზოგჯერ მსვლელობის დროსაც დაავადებული მაგრად უნდა შეაჯანჯღაროთ!

მათთვის, ვინც დასნებოვნებულია სიზარმაცის, უყაირათობის, ყურყუტის, ჯანჯალის, ჩანჩალის, გულარხეინობის, რუტინიორობის, წამატებისა და სხვა მსგავს დაავადებათა მიკრობებით, მოწოდებულია ეფექტერი სამკურნალო საშუალება — **დაჩქარება!** იგი უნდა გამოიყენოთ არა მარტო წლის ბოლოს, არამედ ყოველდღიურად და ფართო მასშტაბით! დაჩქარება არ აგერიოთ აჩქარებაში, რომელიც სატკივარს დროებით აყუჩებს, მაგრამ არ კურნავს!

ზემოაღნიშნულ დაავადებათა დიაგნოზს სვამს, მკურნალობას უნიშნავს და პროგნოზს ამოწმებს **ხალხი!** ხალხი ით უნდა იხარგებლოს ყველამ, ვისაც გული შესტკივა საზოგადო ხაჭმისათვის, აწუხებს სათქმელი, ვერ იტანს ხიცრუეს და ორპირობას, უყვარს სიმართლე! იგი მძლავრი საზოგადოებრივი სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალებაა!

აპოლონ ბასილაია

როგერტ როჟდესტვენსკი

ეს ის ჯერ

ოღონდ იყოს ფილმები კარგი,
    როგორც მათი!

არ მჭირდება გონების ათი მცნებით
    მართვა,
შეიძლება მაცხოვროს
აზრმა ერთადერთმა:
ოღონდ კარგი ხელფასით,
    იხე,
        როგორც მათთან,
არაფერი ვაკეთო,
    იხე,
        როგორც ჩვენთან!

არა ხმამაღალი, —
სიტყვა მინდა წყნარი,
ძნელი პრობლემები გაგიმეღავნოთ
    მართლა:
ჩვენში ყველაფერი დარჩეს,
    როგორც არის,
ოღონდ მაღაზიებში იყოს,
    როგორც მათთან!

იყოს ჩვენი ცხოვრება ლაღი,
    არამკაცრი,
დასვენების დღეები — თვეში ერთი ათი!
მეც ვიქნები, ბატონო, იდეური კაცი.

თარგმნა ვახტანგ ბოგოლაშვილმა

რაფიელ მამულაშვილი

70 წლის კოლახუთარი

ანუ, საბედნიეროდ, რას მივაღწიეთ და, საუბედუროდ, რას მივაღწიეთ, საბედნიეროდ, რას ვერ მივაღწიეთ და, საუბედუროდ, რას ვერ მივაღწიეთ

როგორც ქვესათაურიდან ჩანს, ფიქრი-მონოლოგი ოთხი თავისაგან უნდა შედგებოდეს.

თავი I. საბედნიეროდ, რას მივაღწიეთ:

— დღეს ჩვენი ქვეყანა პლანეტის საფიხვნოს თავში ზის და ყველა ხალხი, ეროვნების, რასის, კანის ფერის, განვითარების დონის, სიმცირისა თუ სიმრავლის განურჩევლად სულგანაბული უსმენს მის სიტყვას!

— დიადმა მიზანმა და ნათელმა რწმენამ დააძმობილა ერები და ეროვნებები, ერთ დიდ ოჯახად აქცია, რომელსაც ჰქვია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

— ყბები მოუნგრია, ხერხემალი გადაუმტვრია და გასრისა მხეცი, რომელსაც ერქვა ფაშიზმი!

— სიყვარულით, ურთიერთთანადგომით, ერთმანეთის გატანითა და ატანით ააშენა მტრობით დანგრეული, იავარქმნილი, გუთანი გადაადნო ტრაქტორად და კომბაინად, კვეს-ამედი შეცვალა ატომით!

— მარტოდმარტომ, თავისი სიმართლითა და მოწამებრივი ცრემლის, სისხლისა და ოფლისღვრის ფასად შეიძინა და გაიმრავლა თანამგრძნობნი, მიმდევრები!

— გაიჭრა კოსმოსში!

თავი II. საუბედუროდ, რას მივაღწიეთ:

— წარმატებისგან თავბრუდახვევას. ტაშის გრიალში ჩათვლემას. ისე გვქონდა ტაშისკვრით ხელები დაკავებული, რომ საქმეს ვეღარ ვაკეთებდით!

— ტყუილს, პირფერობას. იმდენი ვიძახეთ — **„დღეს ისე ბედნიერად ვცხოვრობთ, როგორც არასდროს“**, რომ კინაღამ ისე გავლატაკდით, როგორც არასდროს.

— ხორცისა და რძის პროდუქტების, მარცვლეულის, ციტრუსების, ჩაის, ქვანახშირის, ნავთობის მოპოვების, ბამბის მოსავლის სარეკორდო დონეს... სხდომათა დარბაზებში, ტელევიზორში, რადიოში, პრესის ფურცლებზე!.. იმდენად სარეკორდო დონეს, რომ ხშირად ვახორციელებდით „ფასების მოწესრიგებას“!

— ვკერავდით იმდენ გარდამავალ წითელ დროშას, რომ იმ ქსოვილით შევმოსავდით დედამიწის მთელ მოსახლეობას! რომ დაეცვალათ, ამ დროშებისაგან ერთი დიდი საბნის შეკერვას ვაპირებდით, რათა თავზე წაგვეხურა და მამაპაპური ძალი გამოგვეცხო!

— შეგვიყვარდა, სისხლში გაგვიჯდა გრძელზე გრძელი რიგები სასურსათო მაღაზიებში, უნივერმაღში, ტრანსპორტის გაჩერებაზე, პოლიკლინიკაში, ნოტარიუსთან, სასამართლოში, შემნახველ სალაროში ბინის ქირის გადახდისას, დამკრძალავ ბიუროში, ქორწინების სახლში... ამ რიგებს ისე მივეჩვიეთ, რომ სადღესასწაულო დემონსტრაციების დროსაც ურიგოდ ვერ გაგვიძლია! — საათობით ვდგავართ ტრანსპარანტებით, პორტრეტებით, ყვავილებით ხელდამშვენებულები და ველოდებით ჩვენს რიგს!.. ბოლოსდაბოლოს, რიგიანად რომ ვიცხოვროთ, უნდა შევიძლოთ ურიგოდ არსებობა! ეს არ იქნება ურიგო! ეს საჭირბოროტო საკითხი ალბათ დადებითად გადაწყდება, რადგან ინსტანცია, რომელიც ამ საუკუნის სატკივარს იკვლევს, გვპირდება: რიგების საკითხი განსახილველი საკითხების რიგში დგას და, გვაცალეთ, რიგი მოუვა და განვიხილავთო!

— მივაღწიეთ ჩვენი პროპაგანდისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პრესტიჟის დაცემას. ქოთანს, საითაც გვინდოდა, ყურს იქით ვუკეთებდით: როდესაც ავტორედეოს მხოლოდ კაპიტალისტურ ქვეყნებში მისდევდნენ, აღშფოთებას ვერ ვმალავდით ბიზნესის მოყვარულთა სიხარბის გამო და გულმუცელი გვეწვოდა სპორტსმენის ბედზე — სპორტის ეს სახეობა სიცოცხლისათვის



სარისკო იყო, მაგრამ ყვითელი ოქროს ციებ-ცხელებით შეპყრობილი კაპიტალისტისათვის ვიღაც სპორტსმენის სიცოცხლე ჩალადაც არ ღირდა! ხოლო შემდეგ, როდესაც ეს ავტორედეო მოძმე სოციალისტურ ქვეყნებშიც დაინერგა და ჩვენს ქვეყანაში ჩეხოსლოვაკიელმა მეგობრებმა პირველად გვაჩვენეს, აღტაცებულებმა ტაში შემოვკარით: მერე რა, რომ სარისკოა? სპორტს გამბედავი და ვაჟკაცი უყვარს, ეს რა ლამაზი სანახაობა ყოფილა! როდესაც „იქაური“ რომელიმე გამოჩენილი სპორტსმენი მდიდარი ფირმის მიერ გამოშვებული სპორტული ტანსაცმლით მიიღებდა მონაწილეობას შეჯიბრებაში, ზიზღით ცხვირს ვიბზუებდით და, როგორც კაცისმკვლელზე, თითს ისე ვიშვერდით: შეხედეთ, სპორტსმენის პატიოსანი სახელი ფულზე გაყიდა და ამა და ამ ფირმის რეკლამას ეწევაო. შემდეგ, როდესაც უცხოურ ფირმებთან ჩვენ დავდეთ კონტრაქტები და ჩვენი სპორტსმენები მათს ტანსაცმელში გამოვაწყვეთ, ეს. უკვე კეთილშობილური აქტი ყოფილა: მიღებული ფულით ავაშენებთ სტადიონებს, ბავშვთა სპორტულ მოედნებს, სადაც ჯანმრთელობას გაიკაჟებენ ჩვენი მომავლის ყლორტებიო! როდესაც „ფასებს ვაწესრიგებდით“, ვწერდით, მავან და მავან კაპიტალისტურ სახელმწიფოებში პროდუქტები გაძვირესო. თან გულმოდგინედ ვუმარტავდით ჩვენს მშრომელ, გამრჯე მასებს: იქაო

ამას იმიტომ ჩადის კაპიტალისტი, რომ მას მშრომელების ჯიბეში ხელის ფათური უყვარსო. აქაო კი, ჩვენთან, ფასებს იმიტომ ვაწესრიგებთ, რომ მშრომელების ინტერესები გვამოძრავებსო, რიგები რომ არ დადგესო. თავდაპირველად ასეც იყო, არც რიგები ჩანდა, ტაქსიც ამაოდ ეძებდა კლიენტს, მაგრამ მერე ხელფასის პატრონი კაცი დაფიქრდა და სხვა გამოსავალი რომ ვერ მონახა, სხვა შემოსავალი გამონახა. რიგები ისევ გაჩნდა, ტაქსიც ძნელი დასაჭერი შეიქნა, სამაგიეროდ, ადამიანი გახდა ადვილად დასაჭერი!

თავი III. საბედნიეროდ, რას ვერ მივაღწიეთ:

— კატასტროფას. საბედისწერო მოსახვევში შეგვაჩერეს, შეგვანჯღრიეს, გამოგვაფხიზლეს!

— ვერ მივაღწიეთ პიროვნების სრულ გადაგვარებას. ცოტა დაგვაკლდა. თუ ადრე კაცს იმიტომ იჭერდნენ, სხვაგვარად რატომ ფიქრობო, დრო დადგა, თითქმის აღარავის იჭერდნენ, რადგან ადამიანს „სხვაგვარად“ ფიქრის უნარი აღარ ჰქონდა!

— ბოლომდე ვერ ავაღორძინეთ სახანოების, საფაშოების, სათავადო სტატუსები. კი, გვქონდა ექსპერიმენტები, მაგრამ ღიად, კონსტიტუციით გამაგრებული უფლებები არა ჰქონდათ ხან-ფაშა-თავად-ბოიარებს!

—. ვერ მივაღწიეთ მთელი ჩვენი უშველებელი ქვეყნის გადაქცევას ერთ დიდ სხდომათა დარბაზად, სადაც თავს მოიყრიდა მთელი ჩვენი მრავალეროვანი მოსახლეობა, კვარტალების, წლებისა და ხუთწლედების მანძილზე შეუსვენებლივ წაიკითხავდა მოხსენებას ორატორი ტაშის აკომპანემენტით, რომელიც მჭუხარე, ხანგრძლივ ოვაციაში გადაიზრდებოდა, რასაც მოჰყვებოდა გამოცოცხლება დარბაზში. მერე ტელემაყურებელი, ამ თავყრილობის ხილვით კმაყოფილი, ოჯახურ წრეში, სამზარეულოს ქურაზე შემოდგმული ცარიელი ქვაბის თავზე გაშლიდა გაზეთის მორიგ ნომერს და დაანაყრებდა ცოლ-შვილს!

— ვერ მოვასწარით მოსკოვში — გორკის ქუჩაზე და თბილის-

ში — რუსთაველის პროსპექტზე სიმინდის ყანების გაშენება!

— ვერ მოვახერხეთ წვითა და დაგვით ნაშენები ძმობის ციხის გალავნის დარღვევა და საძირკვლის მოთხრა ზოგიერთი „ხალხის რჩეულისა“ და ზოგიერი რწმუნებამოსილი პირის გულმოდგინე მცდელობის მიუხედავად. მართლა მძლავრი ყოფილა ჩვენი სახელმწიფო! — **„მკვიდრად ააშენა, ვინაც ააშენა და ცით დაამშვენა“!**

— ვერ მივაღწიეთ სიწრფელისაგან თვალთმაქცობის გარჩევას. გადავივიწყეთ ხატის წინაშე წრფელი გულით ლოცვა, ფეხქვეშ გავთელეთ ჩვენი სახელმწიფოს შემქმნელის მცნება: მრევლმა რომ ირწმუნოს, თავად მწყემსი უნდა იყოს წმინდა! მავანი მწყემსი გვმოძღვრავდა ათეული წლების მანძილზე, მისი მოძღვრება ტომებად ისტამბებოდა და ამ დასტამბულს სახარებასავით გვაზეპირებინებდნენ სამსახურში, სხვადასხვანაირ წრეებში, უმაღლეს სასწავ-

ლებლებში, ოჯახებში!.. მოვიდოდა ახალი მწყემსი, ძველ სახარებას ცეცხლში ჩაგვაყრევინებდა და ყველაფერი ხელახლა იწყებოდა. იმ მწყემსს ვინ გაუბედავდა და ვინ ეტყოდა რუსთაველის შაირს:

„თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი;
განალა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს ვითა ჯორი.“

თავი IV. საუბედურო, რას ვერ მივაღწიეთ:

— წინაპართა და წინამორბედთა საფლავებზე ობიექტური წარწერების გაკეთებას!

— სიტყვისა და საქმის ერთმანეთთან დაახლოებას, დამთხვევას ისე, როგორც ამას ახერხებს გამოცდილი ფოტოგრაფი აპარატის ობიექტივის გასწორებისას!

— ყველა თავის საქმეს აკეთებდეს კეთილსინდისიერად, და ყვავი ბულბულს სიმღერას არ უწუნებდეს!

— იმ ხის ამოძირკვას, რომელსაც კარიერიზმი ჰქვია! — პირიქით, გულმოდგინედ ვრწყავდით, სხვა კეთილშობილ ხეს ვსხებდით, რომ მისთვის მზე არ დაეჩრდილა!

— იმ ხის ამოძირკვას, რომელსაც ბიუროკრატიზმი ჰქვია! — ამასაც არხის წყალს ვუგდებდით, კარგად რომ ეხარა!

— იმ უმგვანო სახეობის „სპორტული“ შეჯიბრების ამოძირკვას, რომელსაც მლიქვნელობა ჰქვია! — გავშალეთ სრულიად საკავშირო შეჯიბრება, ვამყარებდით და ვამყარებდით რეკორდებს ჩვენი ქვეყნისათვის ამ ყველაზე დამღუპველ დარგში და მკერდი გამზადებული გვქონდა მორიგი ჯილდოს დასაბნევად!

თავი V. რა ჩანს გადასახედიდან

აი, ფაქტი — მეც ტყუილები მისწავლია! ოთხი თავი-მეთქი, და ეს მეხუთეც შემოგაპარეთ! ეს უფრო ეპილოგია:

კოლოფს, რომელშიც სამართალს ეძინა, ვამტვრევთ. ღმერთმა ქნას, ნამტვრევები მოუსავლეთში გადავისროლოთ, რომ აღარ გამრთელდეს რაღაც მანქანებით. აქამდე მხოლოდ ილუზიას ვიქმნიდით, ვითომ ამ კოლოფს ვამტვრევდით, მაგრამ ისე მრფერებითა და მუსიკალურად ვაკაკუნებდით, რომ შიგ ჩამალული სამართალი უფრო ღრმა ძილს მინებდებოდა. ვდგავარ ახლა ამ გადასახედთან, გავყურებ ჰორიზონტს, საიდანაც მზე ამოდის. შევყურებ დაღლილი, ნაგვემი და დაეჭვებული: მზე რომ ამოიწვერა, ნუთუ მართლა მზეა?! ნუ გამამტყუნებ, ჩემო სამოცდაათი წლის ვაჟკაცო, ათას ქარცეცხლში გამოვლილო გმირო, ზოგჯერ შეგინებულო, მაგრამ გაუტეხელო, ბედნიერების ღირსო ქვეყანავ! შენ ახლა უნდა გერჩიოს შენს ბედზე დაფიქრებული და თავის საქმესთან ჩამუხლული მუშაკი იმ კაცს, რომელიც უკვე აღტყინებული გიკრავს ტაშს, იმ კაცს, რომელსაც ჯერაც არ დასცხრობია გუშინდელი ტაშისკვრით დასიებული ხელისგულები!..

შენი უკვდავებისა და მომავალი გამარჯვებების საძირკველი იმ მყარ და ნოყიერ წიაღშია ჩადებული, ხალხთა ძმობა და სიყვარული რომ ჰქვია! ნუ მისცემ უმეცართ ნებას, რომ ამ წიაღს უწმინდური ხელით შეეხონ! შენი შვილები რაც უნდა დავახლოვდეთ და ერთმანეთს შევეთვისოთ, მაინც დარჩება ქართველი ქართველად, სომეხი — სომხად, აზერბაიჯანელი — აზერბაიჯანელად და ასე ყველა — თავისი მზიანი პასპორტითა და დაბადების მოწმობით. თვით საქართველოც, შენი ერთი ერთგული შვილი, იმიტომაა ასე შემკული, რომ აქ ქართლი ქართლად დარჩა, კახეთი — კახეთად, იმერეთი — იმერეთად, გურია — გურიად, აჭარა — აჭარად, სამეგრელო — სამეგრელოდ!.. ბუნების სიმუხთლეც კი ვერ გადაასვანებს სვანებს და ხევსურებს ვერ გადაახევსურებს! — სხვაგვარად საქართველო აღარ იქნება!

ყოველ ქართველს ერთი საამაყო წინაპარი ჰყავს. ყველანი იქიდან მოვდივართ, მისი სიბრძნის შუქით ვიარეთ საუკუნეების მანძილზე. ამ წინაპრის ერთი შეგონება არ მასვენებდა, როდესაც ამ მონოლოგს აღმოვთქვამდი:

„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“.

ვერ გეცრუე, ვერ გიორპირე და სიმართლე ვთქვი იმ რწმენით, რომ შენი ცის ქვეშ ყველა სულდგმულს, უმეტესს მაინც, სულისა და ხორცის ხსნა სწადია!

ზურგქარმა დაბერა. **„ფრთები, ფრთები გინდა, კიდევ ფრთები გვინდა!“**

და რომ ზურგქარმა ნამდვილად დაბერა, ამ მონოლოგის დაბეჭდვაც მოწმობს!

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



უსიტყვოდ **ნახ. ბ. ზუბაშვილისა**

დიდ ჯერამ მოგვიტანა

საბჭოეთის ტკბილო მიწავ, ჩემო დედავ საოცნებო,
თოვლის ფიფქით მოხატულო მთის წვერებო საოცრებო,
თვალუწვდენელ ხოდაბუნზე მოშრიალე თავთავებო,
ნაყამირალ ველ-მინდორზე ოფლის ღვარით ნახარებო,
დებო, ძმებო, მეგობრებო, საბჭოეთის არწივებო,
ქვეყნის ყველა დაძახილზე ვაუკაცურად გაჭრილებო!
თქვენი მკლავის მოქნევა და თქვენი შრომა, გარჯილობა,
თქვენი მტერზე შემართება, მგლის ხროვაზე ნადირობა,
თქვენი ნდობა, დაჯერება, თავმდაბლობა, მოთმინება,
მტრის ხვრელიდან გამოგზავნილ ყველა ეჭვის მოცილება —
ჩვენი ქვეყნის დვრიტა იყო, მისი მტკიცე საძირკველი,
ჩვენი დიდი სახელმწიფოს ახლებურად გარდამქმნელი!
გვახსოვს შაქრის, პურის რიგში გატეხილი ღამეები,
შიმშილისგან გამშრალი და დახეთქილი ბაგეები,
მშრომელ ხალხზე ვერაგულად მტრის მახვილის დაღირება,
ფრონტის ხაზზე ერთადერთი მარჩენალის გაცილება,
ქანცგაწყვეტილ შრომის შემდეგ თოხის გვერდით დაძინება,
ბაზრის მსუბუქ ყაფაზებზე პროდუქტების დაძვირება!..
მაგრამ მტკიცე რწმენა იყო ყველა კლიტის გასაღები,
მტრის შავბნელი სურვილების დამთრგუნველი, დასარღვევი!..
ვინც მოგვეჭრა, ისე დავცხეთ, დღესაც შარვლის ძებნაშია,
დათეთქვილი ყბა-კისერის გამუდმებულ ზელაშია!..
გავიმარჯვეთ და შენ უკვე მტრის ნაოხრებ მიწას ხნავდი,
ცეცხლით დამწვარ ნასოფლარზე სამშვიდობო ნერგებს რგავდი
და მისდევდი იმ გზას, რაიც დიდ ლენინის შუქით თბება,
მის ბრწყინვაზე ყველა ღვარძლი ისპობა და იღუპება!..
და დღეს, როცა ოქტომბერის შვიდ ათეულ ასაკს ვითვლით,
როცა ცხადით შეგვეცვალა ლეგენდა და რაღაც მითი,
შენ საყვედურს ვინ გაკადრებს, ჩემო ხალხო საყვარელო,
ჩემი ქვეყნის იმედო და ძლიერებავ სასახელო!
დღეს შენ იცი სახვალიო ჭირნახულის გასაღები
(თუმც ბევრია ჯერაც ისევ შესასწავლი, გასარკვევი).
გადახედე ნაკვალევს და ცეცხლში დაწვი ყველა ნაკლი,
ღრმა ნაფაზით შეისუნთქე მოქროლილი სიო ახლის,
გარდაქმენი ის, რაც ახალს დაუნდობლად ამუხრუჭებს,
რაც სიძველეს აჩერებს და მდოვრე სისხლით ასულდგმულებს,
შენ განსაზღვრე შენი ყოფის, შენი ნდომის მექანიზმი,
დღეს შენ იცი, თუ რა არის შენს ბეღელში შესაზიდი,
შენ მოიმკი იმას, რასაც ჩუმი ნატვრით ჩურჩულებდი
(შემოდგომით ითვლებაო გაზაფხულის ჭუჭულები).
ადრე დათვლით, გახსოვს, ბევრჯერ მოგვიდა „იაღლიში",
სავალალოდ ჩაგვივარდა ნაადრევი ეერიში!..
ამიტომაც შენ დათვალე, შენ გაზომე გასაზომი,
რა გვირს, მითხარ, ამა, სხვისი დასათვლელი, გასაძღოლი?!
დაიხსომე: დღეს შენა ხარ მგეგმავი და ხელმძღვანელი,
შენი აზრით იწონება ხვალისათვის შესაქმნელი,
ნუ დაინდობ იმას, ვინც კი მბრძანებლობს და იწელება,
როს ტიკია ცარიელი, მხოლოდ მაშინ იბერება!
გწამდეს; კერა სიუხვისა მხოლოდ შენგან შეიქმნება,
მგელი, მელა და წურბელა არასოდეს გარდიქმნება!
გაქრა ის დრო, როცა ქურდი შენ, უმწიკვლოს, გამოწმებდა,
ბაქია და ლაყანტარა თავხედობით გაოცებდა,
დაგძახოდა: „აბა, ჩქარა! რას უყურებ, ამხანაგო?!
ბუზის ფრთებით დაფრინავ და ფუტკარივით ლაპარაკობ!"
შეითვისე ის, რაც ცოდნის სამეედლოში იპოვება,
რაც სწავლულთა ნააზრევით წიგნებიდან იხედება!
დღეს შენს სინდისს ენდობიან, შენს მარჯვენას ალალ-მართალს,
გულწრფელობა ჩამომდგარა სამეგობროდ ხალხის კართან
და მიტომაც გადღეგრძელებ, მოგილოცავ დიად ზეიმს,
გამარჯვების ხმა გრგვინავდეს ჩვენს ხალხენად მტერზე ზევით!

ვალერიან მამუკელაშვილი

ნახ. ა. გოჩაშვილისა

უსიტყვოდ

ოპონენტი დომენტი

ფრაგმენტები ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის

დომენტის სერიოზულობას ყოველთვის გრძნობდა დომენტი, გრძნობდა და ზომებსაც ღებულობდა — მაშინვე ჩაერეოდა ხოლმე საქმეში, ვიწმეს გვარს ბლოკნოტში ჩაიწერდა, ვინმეს დაემუქრებოდა. განსაკუთრებით რიგის დანახვას ვერ იტანდა: წითელ წიგნაკს დააძრობდა, წინ გაეკვეტებოდა, თავისას გაინაღდებდა! მერე გადგებოდა განზე და — რას ჰგავს ესო?! — დაიღრენდა, — ვერ იქნა და ხალხად ვერ ვიქეცით, ქვეყანა ქვეყანას ვერ დავამსგავსეთო! მიშრომია, მიომია, ახლა კი რიგში მაყენებენო! — ამას ამბობდა, გულში კი იცოდა რომ წილი არცერთში მიუძღოდა და წითელი წიგნაკიც გააიმასქნა.

— რისი რიგია, ბოშო? — იკითხავდა ცინიკურად და ჰაერს დაყნოსავდა.

„ბოშოს“ მხოლოდ აქ ხმარობდა დომენტი, მეტგან — არსად, მოისმენდა პასუხს და ხელს ჩაიქნევდა:

— აბა რაა! იქნება რიგი, მაშ როგორ?! ლაპარაკით გვიტენიან ყურებს, ასეო, ისეო, შეხედავ საქმეს და... — სიტყვას აღარ დაამთავრებდა.

ამის გამო იყო, რომ „ოპონენტი“ შეარქვეს დომენტის. ოპონენტი რაღაა? — გაიკვირვა. აუხსნეს, — ოპონენტი ის პირია, ვინც საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს, ედავება მომხსენებელს ან დისერტანტს და შეიძლება დისერტაციაც კი ჩაუგდოსო! — დედა ვაცხონე მისი და მამა, კარგი კაცი ყოფილაო! — მოეწონა დომენტის. — დისერტაცია ისე უნდა ჩაუგდო, რომ კოვზიც ნაცარში ჩაუვარდეს, ვისაც იოლი შრომით უნდა კარგად იცხოვროსო, თორემ ვატყობ, ისე მომრავლდნენ წიგნის ჭიები, სოფელში კაცი აღარ დარჩა თოხის ხელში ამღებიო! — ერთი სიტყვით, მთელი ქვეყნის ოპონენტობას ჩემულობდა დომენტი. — დისციპლინა არ გვაქვსო, მუშაობა აღარავის უნდაო, უქნარები გამრავლდნენო, იმიტომ არის, რომ ველარაფერი დავიძველეთ და დავიმარაგეთ, კარაქსაც რიგში ვყიდულობთ და რძესაცო! აბა, იმათთან ნახეთ, როგორ არის მოწყობილი ცხოვრება: ასაც მოისურვებ, დარეკავ და შინ მოგიტანენო!

„იმათ“ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეძახდა დომენტი, — კერძო ინიციატივა თუ ვითარდება, მხოლოდ მათთან ვითარდება და ნიჭიერი კაციც კაცად ფასობსო! (დომენტი ნიჭიერ კაცობაზეც აცხადებდა პრეტენზიას, ეგონა არავის ახსოვდა, ფალსიფიკაციურად რომ დაამთავრა ტექნოლოგიური ფაკულტეტი). — ამდენი ხანია ვაპირებთ და ნამდვილი საბჭოური დემოკრატია ვერ დავამყარეთო, საჯაროობას ვნერგავთ, მაგრამ ვერ დაგვინერგავს! ეს გარდაქმნაც მარტო სიტყვით არის, თორემ, აბა, მე ვიტყვი და სხვებმა დამიჯერონო! — დასაჯერებელს კი არა, დასაჭერ სიტყვებს ამბობ, მაგრამ კანონი შენზე ხელს არ გაისვრისო! — შეეხუმრნენ და თან დასძინეს, — იმისთანა ხუმრობა შეგვირცხვენია, ნახევარი მართალი რომ არ ერიოსო! — აბა, ახლა იმათთან ნახეთ, როგორი დემოკრატიაა, მთავრობას აკრიტიკებენ, პრეზიდენტებს პასუხისგებაში აძლევენ, თანაც ვინ აკეთებს ამას, არ იკითხავთ? — ჩემისთანა უბრალო ხალხიო!

დომენტი უბრალოს ეძახდა თავის თავს, თორემ კაი ბრალიანი გახლდათ; ფულითა და ძვირფასეულობით ჰქონდა სახლი გამოტენილი, არც მანქანა აკლდა და არც აგარაკი. — ცხონებული მამაჩემის მონაგარიაო! — ხალხს თვალებს უხვევდა, თორემ თვითონაც კარგად ერკვეოდა ჩუმ საფინანსო ოპერაციებში.

ცოლი და შვილები იმპორტულებით მორთულები დაუდიოდა დომენტის, მანქანაც უცხოური ჰყავდა, ოღონდ ვალში არ რჩებოდა კაპიტალისტებს: მათ იმპორტს ექსპორტით პასუხობდა, საზღვარგარეთ როცა მიდიოდა, ბლომად თეთრეული მიჰქონდა, — ალერგიული ვარ და სხვათა ლოგინებში ვერ ჩავწვებიო! — კონიაკსა და ხიზილალასაც უამრავი რაოდენობით წაიმძღვარებდა, — დაბადების დღე იქ მიწევს და კაცურად უნდა გადავიხადოო! — ფოტოაპარატებსაც აისხამდა ხოლმე მხრებზე, როგორც ტურისტის წესია. ტურისტი ერქვა, ოღონდ უფრო ტურის თვალით უყურებდა ყველაფერს, იმის მცდელობაში იყო, საზღვარზე რა გავაპარ-გამოვაპაროო.

გარეშეთა გასაგონად კი ამბობდა, — ფილადელფიაში დელფინების სანახავად მივდივარ, ლონდონში ლორდებთან მაქვს საქმეო, ბერლინში ვერლიბრის მოსასმენად უნდა ჩავირბინოო, ჩიკაგოში „ჩემო კარგოს“ მღერიან ქართულად და ჩემი თვალით მინდა ვნახოო!..

— სასაფლაო მინდაო ვნახო არლინგტონის! — ამ საბაბით ინახულა ვაშინგტონი, ნახა ავენიუ, სტრიპტიზი, კაზინო და მალე დაკარგა უფროსის ტონი — სხვა „შმოტკებთან“ ერთად იყიდა თავისი ზომის როლინგსტონი, მიიტანა ნავაჭრი ჰოტელში და ბოლოს სცადა გარკვეულიყო რეკლამა-მოდებში. შემთხვევით გავიდა რომელიღაცა სტრიტზე და თვალი შეუჩერდა ვიტრინაში გამოდგმულ ბრჭყვიალა ნივთზე, სინანულით ჩაიყო ჯიბეში ხელი, აღარ ჰქონდა უცხოური ფული, მხოლოდ ერთადერთი დოლარი უჭყაოდა ჯიბეში.

თვალი მოსჭრა დომენტის ნივთმა, მიიზიდა, წააბარბაცა, ანაზდად ფეხი გადაუბრუნდა და ტროტუარზე მოადინა ზღარბანი. ტკივილისაგან აბღავლდა დომენტი, სიმწრისაგან გონი დაკარგა და გვარიანად იგორავა ქუჩის მტვერში. — მიშველეთო! — ყვიროდა, — ხალხი არ ხართო?! — ნამუსზე აგდებდა გამვლელ-გამომვლელს, ისინი კი ერთს დახედავდნენ გულგრილად და მიდიოდნენ თავიანთი გზით. ყველა სადღაც მიიჩქაროდა და მისთვის არ ეცალა. პოლიციელი თუ ვიღაცა უნიფორმიანი კაცი მოუახლოვდა, დომენტის ეგონა, — ახლა კი მეშველაო, მაგრამ კაცმა სამი თითის კომბინაციით ანიშნა, — ფული თუ გაქვსო. დომენტიმ დოლარი დაანახვა, კაცმა უარის ნიშნად გადააქნია თავი. დომენტი ხელებს პარჭყავდა და თან ტკივილისაგან იღრიჯებოდა, ანიშნებდა, — ტელეფონით დარეკე და „სასწრაფოს“ გამოუძახეო! — მომეცი ეგ დოლარი და დავრეკავო! — ანიშნა უნიფორმიანმა, გამოართვა და შემინულ ვესტიბიულში გაუჩინარდა.

ფერადი შუქსიგნალებით მობრდღვიალე „სასწრაფო“ კივილით მოიჯრა შემთხვევის ადგილას და რა იხილეს უფულო და უენო, თეთრხალათიანები უკანვე ჩასხდნენ მანქანაში და გაეცალნენ. დომენტიმ ღმუილს უმატა, — მიშველეთო — ყვიროდა, მერე ატირდა კიდეც, მაგრამ არც ამან გაჭრა. ამასობაში ფეხი გაულურჯდა და გაუსივდა კიდეც.

საღამომ მოატანა, მშველელი კი არსაიდან ჩანდა. უსაქმობისაგან გაბეზრებული უმუშევრები, იქვე შრომის ბირჟასთან რომ იდგნენ, დაინტერესდნენ და ახლოს მოდგნენ. დიდხანს უსმინეს დომენტის კრუსუნს და გაუგებარ შეძახილებს, მაგრამ უკანვე დააპირეს გაბრუნება.

— ინ სოვიეტო? — ჰკითხა ბედად ერთმა ჩამომხმარმა მოხუცმა კაცმა.

— და, და, ინ სოვიეტო, ინ სოვიეტო! — აბღავლდა დომენტი.

უმუშევრებმა ასწიეს და ნელა წაიყვანეს, ატარეს, ატარეს და ერთ უბადრუკ შენობას მიაყენეს. ღარიბულ საწოლებზე და დამდნარ ლოგინებზევე ეტყობოდა რომ ღატაკთა და ბოგანოთა თავშესაფარი იყო. კოჭი ჭინჭით შეუკრეს დომენტის, წყალწყალა სუპი დაუსხეს და გლახაკის საწოლზე დააწვინეს. აბა, რა მიხვედრა უნდოდა, რომ უფულო უცხოელისათვის ამის მეტის გაღება არ შეეძლო ბიზნესის სამყაროს. ფეხი კი სივდებოდა და სივდებოდა!..

— ეს რა ქვეყანა ყოფილა?!.. ამ ოხრებში უფულო კაცის სიცოცხლე ჩალადაც არ ღირებულა!.. — აღმოხდა დომენტის, თავშესაფრის პატრონს უხმო, ტელეფონით დარეკეთო, ანიშნა და მთელი ხმით აღრიალდა: — ინ სოვიეტო!.. ინ სოვიეტო! — თავშესაფრის მეპატრონე გაბრუნდა და ამის შემდეგ დიდხანს აღარ გაუვლია, რომ ნაცნობმა სირენამ გაკვეთა საღამოს ჰაერი და წითელ-ჯვრიანი თეთრი მანქანა მოგრიალდა. იქიდან თეთრხალათიანი ექიმი და სანიტრები გამოცვივდნენ და პირდაპირ დომენტის მიაშურეს. — ეს როგორ მოგვიდაო, — მიეფერნენ, დაზიანებული ადგილი მობანეს, მჭიდრო სტერილური ნახვევი დაადეს და ციმციმ დააწვინეს საკაცეზე. ქალიშვილები უღიმოდნენ, ამხნევებდნენ, ჭირის ოფლს წმენდნენ შუბლიდან. ასე მიაგრიალეს საელჩომდე. აქ კი, როგორც გმირს, ისე ელოდნენ დომენტის. აბა, რენტგენი, აბა, ტკივილგამაყუჩებელი ნემსიო, აბა, აბები და, აბა, საფენებიო!.. გახადეს, აბანავეს, თეთრეული გამოუცვალეს და გაქათქათებულ ქვეშაგებში ჩააწვინეს, მერე მზარეულმა ქალმა მოაყენა ურიკა და, — რომელი კერძები გინდა, აარჩიეო! — ღიმილით შესთავაზა.

სამ დღეში ფეხზე დააყენეს, მერე კოჭნია საბიჯგი ჯოხი მისცეს ხელში და თავის ჯგუფთან დააბრუნეს ჰოტელში.

ის დღე იყო და ის დღე — დომენტიმ ჩვენი ქვეყნის ოპონენტობას თავი დაანება და კაპიტალიზმის ოპონენტი გახდა.

ელგუჯა მერაბიშვილი

ოქტომბრიდან ნაგანიანამდე დღიურიდან

ბატ. ნ. ნაგანიანს პირადად ვიცნობდი, ხალხისთვის წამებულ რაინდად მოჰქონდა თავი. მისი სიკვდილის შემდეგ ხელში ჩამივარდა ნ. ნ-ს დღიური, რომელიც მაგიდის ბოლო უჯრაში დარჩა განსვენებულს. ვფიქრობ, ეს დღიურები ნათელს მოფენს მის პიროვნებას.

4 სექტემბერი, 1924 წელი. დღეს ასეთი განცხადებით მივმართე ზემდგომ ორგანოებს: **„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია რომ მოხდა, ათი წლისა ვიყავი. ამრიგად, ათი წელი ველოდი საზიზღარ კაპიტალისტთა მჩაგვრელური იმპერიის დამპალი ხის კედლების ჩამოქცევას და ძლევამოსილი, უკვდავი მუშათა კლასის სასახლის მშენებლობის დაწყებას გამძლე, ნასვრეტებიანი აგურით. ამიტომ გთხოვთ მიმიღოთ კომკავშირში“.**

30 ოქტომბერი, 1924 წელი. კომკავშირში მიმიღეს, როგორც ღარიბი, უპატრონო და უნიჭო, მაგრამ მტკიცე რწმენის პატრონი, რომ ვიდრე პირში პროლეტარული სული მიდგას, ვებრძოლო შეძლებულ, გავლენიან და ნიჭიერ ადამიანებს, თავიანთ თავს ინტელიგენციას რომ უწოდებენ. მე მათ ანტილიგენციას უფრო დავარქმევდი, რადგან სულ ეგენი ურევენ ქვეყანას და სურთ გაათეთრონ მუშათა კლასის სისხლში ამოვლებული წითელი ყელსახვევი.

4 აპრილი, 1925 წელი. დღეს დავანგრიეთ მშობლიური სოფლის ეკლესია. მალე ალბათ შევალთ საფრანგეთში და დავანგრევთ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს. გა-უმარჯოს უღმერთობას!

15 ივნისი, 1927 წელი. მე და ჩემმა კომკავშირელებმა ოთხი მოკულაკო კომლი შევრეკეთ სოფლის კოოპერატივში თავისი ფრინველ-კამეჩ-ძროხიანად. სულ ნაგანებზე გვეკიდა ხელი! ერთი არ შესულიყვნენ!.. მაგათი ბედი, რომ შევიდნენ!..

1 იანვარი, 1928 წელი. ახალწლის ღამეს ლექსი დავწერე ეკონომიკურ კონტრრევოლუციაზე, რომელშიც ასეთი სტროფებია: **„მე ასე ვამბობ: რაინდებია კომპარტიაში მყოფი მუშები, რაც იმათ სიხსნლი დაუდენია, ზღვა შედგებოდა უშველებელი!.. დღეს აქ რადიოს გადმოუცია, რომ დონ-აუზის მაღაროებში ჩვენს ეკონომიკურ კონტრრევოლუციას უმოქმედია დროგამოშვებით“.** ლექსი იმდენად მაღალიდეური და მაღალ-პროლეტარული გამმივიდა, რომ მომპარეს და დაბეჭდეს ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში“. ჩვენს რიგებშიც არიან ქურდები და მამაძაღლები, ამიტომაც არის საჭირო რევოლუციური სიფხიზლე. ამიერიდან ვიფხიზლებ!..

16 ივნისი, 1932 წელი. ქალაქის ცნობილ თეატრში დავიწყე სამსახური ფარდის გამწევად, თან თვალყურს ვადევნებ მის მთავარ რეჟისორს. მთავარი ის კი არ არის, რომ ის მთავარია, არამედ ის, რომ დროგამოშვებით კონტრრევოლუციურად აზროვნებს და ინტელიგენტობს...

5 მაისი, 1937 წელი. დღეს პარტიაში მიმიღეს და ამ ღირსსახსოვარი მოვლენის აღსანიშნავად სამი ინტელიგენტი დავაჭერინე: ერთი ექიმი, ერთი ინჟინერი და ერთიც მწერალი. ეს მრავალფეროვნებისთვის მოვიმოქმედე. დაპატიმრებულ მწერალს დაკითხვის დროს რომ უთხრეს, შენი თანამოაზრე დაგვისახელეო, გიორგი სააკაძე დაასახელა. ის ვიღაც ჟორა სააკაძე სამი თვე ვეძებე, მაგრამ, ეტყობა, საზღვარგარეთ გამასწრო და გადამირჩა...

22 ივნისი, 1941 წელი. ომი დაიწყო! არ ვიცი, რომელ ფრონტზე მომიწევს მუშაობა. საზღვარგარეთ თუ მოვხვდი, დავიჭერ ჟორა სააკაძესაც!

9 მაისი, 1945 წელი. ომი დამთავრდა. საზღვარგარეთ ვერ მოვხვდი და ის კონტრრევოლუციონერი, ხალხის მტერი განაგრძობს თავის ანტიხალხურ სიცოცხლეს. ო, რამდენი მტერი ჰყავს ხალხს, რამდენი მიეტმასნა სოცრევოლუციას და მისი სიკეთით ურცხვად სარგებლობს!..

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ნ. ნაგანიანს მკერდზე ეკეთა საპატიო კრინიგზელის ნიშანი, რომლითაც ძალიან ამაყობდა. არავინ იცის, როგორ დაუკავშირა მან ერთმანეთს რკინიგზა და ომი. ამბობენ, იმ წლებში ვაგონის გამცილებლად მუშაობდა თბილისი-თელავის მატარებელზეო. ვერ გეტყვით, ეს სინამდვილეს შეეფერება, თუ არა.

12 აპრილი, 1961 წელი. „დღეს გაგარინი გაფრინდა კოსმოსში. მთელი ჩემი შეგნებული სიცოცხლე ამ დღისთვის ვიბრძოდი, სულით და ხორცით ვაძლიერებდი საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკას. გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩემი სახელოვანი მორალურ-ეკონომიკური წარსული და მომცეთ შესაფერისი სამუშაო, რადგან ხელფასი არ მყოფნის, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავ შემდგომ ორგანოებს!..“ ასეთი განცხადებით მივმართე ერთი იდეოლოგიური დაწესებულების ხელმძღვანელს. შეეშინდა დ. მიმიღო რეჟისორის თანაშემწედ. ჯერ სად არის!..

7 მაისი, 1967 წელი. პრესის დღესთან დაკავშირებით დავიწყე პრესის მუშაკებზე დოსიეების შედგენა, ჩემი თანამშრომლებისათვის ცალ-ცალკე გავხსენი საქაღალდეები და შიგ შემაქვს მათი ჩრდილოვან-ნაკლოვანი მხარეები: ზოგს ცოლი არ უყვარს, ზოგს — სიდედრი, ზოგი მთელ ორ-სამ წუთს აგვიანებს სამსახურში, ზოგი დიდხანს ლაპარაკობს სახელმწიფო ტელეფონით. ისეთებიც არიან, რომლებიც თავის ფასში შოულობენ ფეხსაცმელს. როგორ! დამაცადონ!..

25 აგვისტო, 1976 წელი. „ვარ ცნობილი რეჟისორის მოწაფე, ფარდის გამწევად ვმუშაობდი მასთან და ამაში სიმბოლიკა იყო: მსურდა ფარდა ამეხადა იმ მოვლენებისთვის, რაც მაშინ თეატრის კულისებში ხდებოდა. ახლა ვშვრებოდი. გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩემი ღვაწლი და გადამიყვანოთ რეჟისორად“.

6 დეკემბერი, 1978 წელი. „ორი წელია ვმუშაობ რეჟისორად. გთხოვთ გაითვალისწინოთ ის ამბავი, რომ მალე შემისრულდება სამოცდაათი წელი და დამნიშნოთ მთავარ რეჟისორად. წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავ ზემდგომ ორგ...“

ეს გახლავთ ნ. ნაგანიანის ბოლო ჩანაწერი, რომელიც, ჩანს, აღარ დაამთავრებინა ყველა დროისა და ყველა ხალხის ყველაზე მთავარმა რეჟისორმა — სიკვდილმა!.. ოხ, სიკვდილო, სიკვდილო... მაგრამ ნ. ნაგანიანს სიკვდილი ვერაფერს დააკლებს, მისი სული უკვდავია და ბევრი ადამიანის სხეულში გადანაწილდა. მაშ, დიდება „ხალხისთვის წამებულ რაინდებს!..“

ნ. ნაგანიანის დღიურის ფრაგმენტები იპოვა და „ნიანგს“ მიაწოდა

გიგა მახვილაძემ



1917 წელი

ამ ისტორიას, გადამკიდეს ათასი რამის,
უხილავს ქამი, ასატანად ძალიან ძნელი:
ჭიდილი აზრის, ორთაბრძოლა დღისა და ღამის,
ძენება ახლის, გაოცება, დამსხვრევა ძველის! —
მაგრამ სულ სხვაა
1917 წელი!
კაცობრიობას უთვალავი ბრძოლების ალში
ხომ გაწკვეტია ქანცისაგან ათასჯერ წელი,
ხომ იმედისთვის იზრდებოდა ყოველი ბავშვი,
ხომ სათიბებში სრიალებდა ხმაურით ცელი?! —
მაგრამ სულ სხვაა
1917 წელი!
აწონილია მისხალ-მისხალ ოფლი და სისხლი,
გაზომილია ნაბიჯ-ნაბიჯ შარაგზა ძველი,
წამებისაგან გასჩენიათ გულებში ზიზღი,
სიხარულისგან ანთებიათ თვალები სველი! —
მაგრამ სულ სხვაა
1917 წელი!
ამოსვლა მზისა,
უწითლესი დროშების გაშლა!..
„ავრორას“ ზალპი და ლენინის გაწვდილი ხელი,
მილიონების გულებიდან მომსკდარი „ვაშა“,
სამყაროს თვალზე იმედის და ნუგეშის ცრემლი! —
აი, რა არის
1917 წელი!
აღფრთოვანება, აღტაცება, აჟიოტაჟი,
ხალხთა თვალები, რუსეთისკენ სხვაგვარი ცქერით!..
გამოღვიძება, წამოდგომა, მქუხარე ტაში,
დედამიწაზე დასაწყისი ბორკილთა ცვენის! —
აი, რა არის
1917 წელი!
დაიმედება კაცისა და დედაბუნების!..
დაფდაფების და ორკესტრების ხმაური მწველი!..
სინათლისაკენ დედამიწის შემობრუნება,
მომავალ დღეთა ქომაგი და ერთგული მცველი! —
აი, რა არის, მეგობრებო,
აი, რა არის,
აი, რა არის
1917 წელი!

ავთანდილ გურგენიძე

ნახ. გესლა ზუგაშვილისა

უსიტყვოდ

ალექსანდრე დიდუროვი

ქ. მოსკოვი

ანეკდოტები

● თუ საკუთარი ღირსებები ბევრი გაქვთ, ყოველთვის შენიშნავთ სხვების ნაკლოვანებებს!

● მხოლოდ აზროვნება უწესებს საზღვრებს უძვლო ენას.

● მოგონებები — ეს საუკეთესო ფაქტებია თვითკრიტიკისათვის.

● ლითონი ხმაში კარგია სასულე ორკესტრისათვის და არა — ადამიანური ურთიერთობებისათვის.

● როცა ყველა ხელებს იბანს, მომჩივანს ფეხები სტკივა ინსტანციებში სიარულისაგან.

● ცნობილ სახელს მმაჩში ვერ მიიღებ, შრომით უნდა მოიპოვო!

● ხალხში გასვლას თუ აპირებ, ჯერ საკუთარ კოლექტივს უნდა გაუშინაურდე!

თარგმნა ე. მერაბიშვილმა

უსიტყვოდ

საბჭოთა რევოლუციური წარსულიდან

ს ი ც ი ლ ი ადამიანის მეფური თვისებაა. მეფეთა სიცილი — იშვიათად — ადამიანური. იგი ავისა და კარგის უტყუარი საზომი და ხალხის ქომაგია!

ისტორიას ახსოვს, როგორ სცადეს რომაელმა პატრიციებმა სიცილით გაძღომა, როცა არენაზე ქონდრისკაცების, ხეიბრების, მექსიკაში, პარიზში — სულთმობრძავების ორთაბრძოლები მოიგონეს და როგორ შედგა ეს მახინჯი სპექტაკლები, რადგან მათში არ მიიღო მონაწილეობა ბუნებით დემოკრატიულმა, ნამდვილმა სახალხო გმირმა — ს ი ც ი ლ მ ა!

დიდი სოციალური ძვრები, კლასთა ბრძოლა, საზოგადოების განვითარების ისტორია თავფურცლიდან ბოლოთქმამდე სიცილს აძლევს ხალხურობის მეცნიერულ-პარტიულ რეკომენდაციას. განძი, რომელზედაც ჩანასახიდანვე არ არსებობდა კერძო და არსებობდა მხოლოდ საერთო-სახალხო საკუთრება, ს ი ც ი ლ ი ა!

იგი ხალხში დაიბადა და ხალხისაა!

არა უბრალო მცირე კაცთა განსაჭიქებლად, არამედ აღდგა ზვიადთა ზედა ჰერაკლესებრ მძვინვარე რისხვით! — როგორც ბრძანა კომედიის მამამ ა რ ი ს ტ ო ფ ა ნ ე მ. სიცილი ხალხის სახელით სჯის უსამართლობას, უარყოფს ჩაგვრას, ბოროტებას, კაცთმოძულებას!..

დასაბამიდან ბევრი რამ სცემდა შიშის ზარს ადამიანის შვილებს. ადამის ჟამიდან მან ისწავლა სხვისი — იმპერატორის, მეფის, მონარქის, კაპიტალის, სამღვდელოების მორჩილება და აღმოაჩნდა შინაგანი უძლეველი ძალა — სატირის რისხვა, რაც უქრობდა მორჩილებას, ფეტიშების შიშს, ასწავლიდა ბრძოლას ბოროტთან — მის ძირის ძირთან!

„თუ ჭაობია, ეშმაკებიც იქნებიანნო“, — თქვა ს ა ლ ტ ი კ ო ვ-შ ჩ ე დ რ ი ნ მ ა, რადგან ჭაობი ქმნის ბაყაყებს და არა პირიქით!

ასე იქცა ხალხის სიცილი სახალხო გმირად და პროფესიონალ რევოლუციონერად! იგი ისმოდა პარიზის ბარიკადებზე!.. იგი იღებდა ზამთრის სასახლეს... იგი წითელი არმიის რიგებში სატირის იარაღით მხნედ მოაბიჯებდა ახალი ერის გარიჟრაჟზე რევოლუციურ თბილისში!..

პროლეტარიატის ბელადი ვლადიმერ ლენინი უაღრესად დიდ შეფასებას აძლევდა ყველა ადამიანს, იმ რევოლუციური ქარტეხილების ჟამს თავისი შემოქმედებით მხარში რომ ედგა ხალხს და მართალი სიტყვით ეხმარებოდა მას ძველის დამხობასა და ახლის შენებაში, ვინც, — ენგელსის კლასობრივი შეფასებით, — **არკვევდა იმ ჩაგვრას, რომელსაც პროლეტარები განიცდიდნენ.** ენგელსი ამ მიზნით ნასროლ ყოველ რევოლუციურ-პუბლიცისტურ სიტყვას ყუმბარად თვლიდა.

იდგა თუ არა ამ მოწოდების სიმაღლეზე რევოლუციამდელი საქართველოს სატირული ბეჭდვითი სიტყვა და გრაფიკა? ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მრავალთაგან თვით მისი დაუძინებელი მტრის მიერ ხელმოწერილ ერთ დოკუმენტს.

1906 წელი. თბილისის გუბერნიის სახელმწიფო კომიტეტის პატაკი მთავარ სამმართველოს

თბილისის პრესის ანალიზი

„იგი საანგარიშო პერიოდში ატარებდა აშკარა ოპოზიციურ იერს, რომელიც ხშირად გადადიოდა პირდაპირ რევოლუციურ ხასიათში. ეს მიმართულება განსაკუთრებით ვლინდებოდა ქართულ, რუსულ და ნაწილობრივ სომხურ პერიოდულ პრესაში“ (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფონდი 31, საქმე 335, გვ. 3-4).

გ ე ლ ა თ ე ლ ი ა

პ ო ლ ი ც ი ე ლ ი: რით დაამტკიცებთ, რომ ეს ბომბები არ არის?

(ჟურნალი „სვისტოკი“, 1906 წ.)

(ჟურნალი „კოლო“, 1906 წ.)



— ბატონო, ახლანდელ დროში რბილი შლიაპის ყიდვა სჯობია: თავში რომ ჩაგარტყან, არ გაფუჭდება, გაასწორებ, ისევ ისეთია!

მ ღ ვ დ ე ლ ი: ქალო, მანამ მუცელში გუავს შვილი, მოვნათლოთ, თორემ მერე „კომსომოლა“ გახდება!

(ჟურნალი „ტარტაროზი“, 1923 წ.)



(გაზეთი „ცნობის ფურცელი“ — „სურათებიანი დამატება“, 1901 წ.)

(ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“, 1916 წ.)

— რა ამბავია, კაცო, რისთვის ეხვევიან ამ უცხო ადამიანს?

— ამბობენ, ეს კაცი ქართამს არ იღებსო!

— ფანჯარას ვუკეტავ — კარებიდან შემოდის, კარებს ვუკეტავ — ფანჯრიდან მეპარება!..

(გაზეთი „ცნობის ფურცელი“ — „სურათებიანი დამატება“, 1901 წ.)

სახელმწიფო სათათბიროში მიმავალი გზა

(ჟურნალი „ზურნა“, 1911 წ.)

— შენ და შენი ძმა რომელ პარტიას ეკუთვნით?

— პარტია... მმმ... ს...

— გასაგებია... მასვი-მაჭამე-მალხინეს... აი, მესმის პარტია!

(ჟურნალი „ფალანგა“, 1880-81 წ.)

— რისთვის გაგრიცხეს სკოლიდან?

— ლაპარაკისთვის.

— გაკვეთილზე ლაპარაკობდით?

— არა, გაკვეთილების შემდეგ.

— გასაგებია... საშიში მსჯელობისათვის.

სოკდიანი სიმღერა

1

მძლავრთამძლავრებმა ადამუამიდან
მთელ ციხეეშეთში გაამეფეს ჩაგვრის
ფორმულა:
— მდაბიოებმა ჩვენდა განცხრომად
უნდა ღვარონ გარჯის ოფლიო! —
მაგრამ ერთ მზედღეს,
დედამიწის ერთ მეექვსედზე,
უსამართლობამ თვალნი მოლულა,
„ავრორას“ ზალპთა ხაზეიმო ქუხილმა
შეხძრა
მთელი მსოფლიო!..
დიდება უველას, ახლის შენებას
თვით სიცოცხლე ვინც შეალია,
ჭკუა-გონების ნაშუქარი დაგვიტოვა
მუდამ ელვარე, მუდამ სახალხო!..
მე მათი ქება არ მომწყინდება,
მაგრამ სახოტბოდ ახლა, ვით ხხვებს,
არც მე მცალია!..
პირველყოვლისა საამდღეო მარშს
ვინც ფეხს ვერ უწყობს,
ლექსის მეწყრით ისინი უნდა დავმარხო!

2

ბევრმა სოფლელმა მამაპაპური კარ-მიდამო
ისე საშინლად გაავერანა,
მარტო უმთავრეს სარჩოს კი არა,

მწვანილეულსაც სხვისგან ყიდულობს!..
საოცარია. რამ მოუმრავლა ზარმაცები
ოდითვე გარჯით სახელგანთქმულ ივერთ
ქვეყანას?!
დავფიქრდეთ ყველა. კარგად დავფიქრდეთ,
ბოლოს და ბოლოს. ხომ უნდა ჩავწვდეთ
ამ საიდუმლოს?!



3

ისევ და ისევ ქალაქ-სოფლური ნახელავის
სიუხვე-სილაზათეში სახტიკად ვკოჭლობთ!
რატომ? თავკაცი ბევრი კვლავაც მიხთვის
იკლავს თავს,
ხელის ჭუჭყი ბზესავით ბოჭოს!
კი, მაგრამ, ხალხო, ჩვენ რაღას ვცოდავთ?!
ის, ვინც გაადამიანებას თავად არ ძალობს,
კისერში ვწვდეთ და ნომენკლატურულ
სკამ-ხავარძლიდან
დაუყოვნებლივ გადმოვაბრძანოთ!

4

ბრმაც ნათლად ხედავს, სწავლის
მძებნელთ უმრავლესობა
რას სწავლობს ანდა როგორ აცვია!
ჰოდა, ამ მზისქვეშ ვისაც დავტოვებთ,
ჩვენს სამარეებს და სურათებს რომ არ
აფურთხონ,
ჭკუას მოვეგოთ! — გავანამდვილოთ
ყალბზე ყალბი ატესტაცია,
ცოდნა-ზნეობის ფრონტის სარდლებად
თანდათანობით გოგებაშვილის მსგავსნი
ვაკურთხოთ!

5

ახლა, როს უცხო ტომთა მიერ ჩვენდა
სამტრედ გაკეთდა—
ხმალს თუ ხანჯალს საუკუნოდ ხმინავს
ქარქაშში,
ცას უარესი ბზარავს განგაში:
ფულის გულისთვის მოძმე გვიხრჩობს
უმაწვილს აკვანში!..
ჩვენს ნამდვილ მცველებს — ტაში და ვაშა!
მაგრამ იმათგან, ვინც წამგლეჯსა ძმობს,
წამგლეჯთან ერთად მოვკვეთოთ ხელი
და ისე ვუკრათ თავი ხაკანში!

6

ოქტომბრის დიად მონაპოვარს ისე
დაემუქრა
უსაქმურობაზე დამყნილი
ნარკომანია თუ პროსტიტუცია, —
არავითარი შეგონება!
საჭირო არის ხავალალო ხაქმისადმი
ილიასებური მიდგომით განსჯა:
რაღას ვუყურებთ?! ჩვენ არა ვშვით?!
ჩვენვე სრულვყოფ,
ხალხო, ჩვენი კონსტიტუცია! —
დაუყოვნებლივ დავაკანონოთ
ჩვენთა შემცველელთა გამხრწნელების
სიკვდილით დასჯა!

7

ამოდენაბანს ძალიან ხშირად
იძულებითი ტაშით შობილი ხათქმელი
მწარე
ბევრი მაქვს! — ალბათ იმაზე მეტი,
რამდენიც ქრიან
უკიდეგანო ცაში ღრუბლები,
მაგრამ ისინი წვრილმანებია!
ხისხლის ცრემლები ლექსის თვალებით
მხოლოდ და მხოლოდ იმაზე ვღვარე,
რაზეც თუ თავი უველამ ერთად
არ გადავდევით,
ომს ტუვილად ვებრძვით,
უატომწარღვნოდ დავიღუპებით!

ქიშვარდ ისაკაძე



ნახ. ბ. აბაშიძისა

— სანამ დაგაძინებდე და გაგაღვიძებ. ფასზე მოვილაპარაკოთ!



ნახ. ბ. ზუბაშვილისა

უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარევი

კითხვა-პასუხი

მეეზოვე ქურთის ქალი: ნაჩალნიკი უთხრას, გარდაქნა უნდა გააკეთოო!.. აბა როგორ გარდაიქნა, კაზო, ისევ ზველი სოსხით დაგავოს?

— კატეგორიულად მოსთხოვეთ სახლმმართველს სამუშაო ხალათი და ახალი ცოცხი!

* * *

— ქალაქის ბაზრებს ცეცხლი უკიდია, რას ფიქრობენ მეხანძრეები?

— სხვის საქმეში ცხვირს არ ყოფენ!

* * *

— ჩემმა შვილმა წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სურს უმაღლესში სწავლის გაგრძელება. რამდენია მოწყობის ტაქსა, ე. ი. მაზანდა?

— 5400 დღე ციხეში!

* * *

— მაინტერესებს, რატომ თვლემენ გამყიდველები დახლებთან?

— კი არ თვლემენ, ფიქრობენ, როდის მიიღებენ ხარისხიან საქონელს!

* * *

— სავალდებულოა თუ არა ლაჩქარებით გარდაქმნა იმ პირთათვის, ვისაც „ქვა გულის აჩქარება?

— შეგიძლიათ გარდაიქმნათ ნება-ნება, აჩქარების გარეშე!

* * *

— ლოთობის აკრძალვასთან დაკავშირებით შეიქმნება თუ არა მუზეუმი, სადაც წარმოდგენილი იქნება ჩვენი მომავალი თაობებისათვის ისეთი ნივთები, როგორიცაა ქვევრი, ჭაჭის გამოსახდელი ქვაბი, ყანწი, თიხის ხელადა და სხვა?

— დაგეგმილია ასეთი მუზეუმის მშენებლობა საჭირო ფართის გამოყოფის შემდეგ!

განცხადებები

● **ვცვლი** სინდის-ნამუსს ერთ შტოფ ჭაჭის არაყზე! ოდეკოლონი, ლოსიონი და ქლოროფოსი არ შემომთავაზოთ!

● **ვცვლი** ტელეფონს ძველებურ პატეფონზე! ვიდეომაგნიტოფონი „პარმენას სონიკა“ არ შემომთავაზოთ!

● **კომბინატორების** კლუბში დანიშნულია ლექცია თემაზე — „როგორ ავიღოთ ქრთამი გარდაქმნის პირობებში“.

ჯონი გაზერაშვილი

ეგზიაჯული ალიაქოტები

გეგმა ჩაუვარდა!..

— გეგმა თუ შეასრულე? — ეკითხება კირის საამქროს უფროსს ვახუშტი სიორიძეს აგურის ქარხნის დირექტორი შალვა დავლიანიძე.

— ეჰ, ჩემო შალვა, ჩვენი საამქროს მიერ გამოშვებული კირი რომ ისე იშლებოდეს, როგორც თქვენი აგური, საწარმოო დავალებას დიახაც გადაჭარბებით გავანაღდებდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის და ამიტომ გეგმა ჩამივარდა!..

სინთეზი

— რა გქვიათ, ახალგაზრდა? — ეკითხება ნოდარი კაი მოზრდილ ჭაბუკს.

— გუდა!

— გუდა რა სახელია, შე კაი კაცო?! ვინ დაგარქვა?



— მამაჩემს გულო ერქვა, დედას — დალი. მათი სახელების საწყისი ასოების სინთეზით მიიღეს გუდა!

— კიდევ კარგი, რომ მამაშენს ვიქტორი არ ერქვა და დედას — რიმა, თორემ მათებური სინთეზით ვირი დაგერქმეოდა და თავს ვერ გამოყოფდი ხალხში!

საწოვარა და დირექტორი

— ვახუშტი, შვილიშვილების პატრონი ხარ და მატყუარა საწოვარა თუ გაქვთ. მომეცი, ჩემს ბავშვს გავაჩუმებ!

— მატყუარა საწოვარას აღარ ვხმარობთ და აღარც გვაქვს! ისე, მატყუარა დირექტორი მყავს და, თუ რამეში გამოიყენებ, გაგაცნობ!

სკლეროზი

— ვეღარაფერს ვაგნებ, სკლეროზი მომეძალა! — შესჩივლა ნიკანდრომ მიხას.

— მერე, შენც მიდი ექიმთან და წამალს გამოგიწერს!

— მივედი, გამომიწერა, მაგრამ რად გინდა! წამალს ან ვეღარ ვაგნებ, ან მიღება მავიწყდება!.. აქაც სკლეროზი მიშლის ხელს!



მეორე წრეზე

იდეალისტურ-გუდისტური რწმენით დაავადებული ნარიმანი შთააგონებს თავის მეგობარ გოგის:

— ადამიანი არასოდეს არ კვდება. იგი მხოლოდ სახეს იცვლის. აი, მაგალითად, როდესაც მე გარდავიცვლები, რამდენიმე წლის შემდეგ ისევ მოვევლინები ამ ქვეყანას ხედ, ყვავილად თუ ცხოველად, ან სხვა ცოცხალ არსებად!..

— კარგი, ჩემო ნარიმან, წადი საიქიოს, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, და როცა იქიდან დაბრუნდები, მეორე წრეზე მეც გამოგყვები, მანამდე კი აქ დაგელოდები!..

შეკრიბა ვაჟა სოხაძემ
(ქ. ამბროლაური)

უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციაა ეს, ჩემო ზურიკელა!..

იუმორესკა

ზურიკელა უკვე მესამე ფანქარს ღრღნიდა!.. წინ სუფთა ფურცლები ეწყო და სახე ჩამოსტიროდა!.. ამ დროს კარი დაუკაკუნებლად გაიღო და ხურჯინმოკიდებული ილიკო და ილარიონი შემოვიდნენ. როცა შეხვედრის სიხარულმა გაიარა, ზურიკელამ ცარიელ ფურცლებს დახედა და ისევ ჩამოუგრძელდა სახე!..

— რა გჭირს, ზურიკელა, საჭმელი არ გაქვენ ქალაქში, ფანქარზე გადადით? ტყემალში მაინც ამოაწე! — ახითხითდა ილარიონი.

— შენ გემასხრება და, ხვალე მოხსენება მაქვს გასაკეთებელი, დუნია ხალხი იქნება! ხომ იცით, მთავარი ინჟინერი ვარ!

— რაის მოხსენება, ზურიკელა? — იკითხა ილიკომ.

— სამოცდაათი წლისთავია ახლა, გაზეთს არ კითხულობ? — შეუტია ილარიონმა და ზურიკელას მოუბრუნდა: — მერე, მაგი გაგიჭირდა?

— რაღაცა ორიგინალურად მინდა მოვიფიქრო, სტანდარტული მოხსენება არაა საინტერესო!..

— მაი მე მკითხე, ჩემო ზურიკელა! — სერიოზულად თქვა ილარიონმა და ყალიონის გაწყობას შეუდგა, — ყორიფელმა ჩემ თვალწინ გეიარა, რაფერც შენ გიყურებ, ასე!..

— კი მარა, რამდენი წლის ხარ?

— ოთხმოცდარვას გავათავებ გიორგობისთვეში!

ილიკოს ფხუკუნი აუტყდა.

— რა გაცინებს, ბერიკაცო? — შეუტია ილარიონმა.

— აფერი, — დასერიოზულდა ილიკო, — მე ჯერ ოთხმოცი არ გამითავებია და შენზე წლი-ნახევრით უფროსი ვარ მგონია!

— სკლეროზ! კაცს რომ საკუთარი წლოვანება დააავიწყდება, ცუდათაა იმის საქმე!

— დააყენე ახლა საშველი! — შეევედრა ზურიკელა.

— მაცლის? — გადახედა ილიკოს ილარიონმა, ყალიონს მოუკიდა, გააჩაღა და დაიწყო:

— რავა ფიქრობ ახლა შენ, ბურჟუა, რუსები რომ მასხრობით „ბურჟუის“ უძახიან, მართლა ისეთია, მულტფილმებში რომ ხატავენ — ხუთკეცა ღაბაბით და ჩუმპოგადმოგდებული? არ დაიჯერო! ბურჟუა, ჩემო ბიძია, პიწკად ჩაცმული კოხტა კაცია, მოღიმარე და ბეჭზე ხელის მომთათუნებელი. ასე იყო ცხრაას ხუთში, გადადვა ხელი მხარზე მუშას და უთხრა: დავსცხოთ მტარვალ მეფეს, აგერ შენ და აგერ მე, შენს გვერდითო! ბურჟუას მეფე არ უყვარდა.

— არც მუშა ეხატებოდა გულზე! — ჩაურთო ილიკომ.

— მართალი ხარ! — ილარიონმა ლაზათიანი ნაფაზი დაარტყა, — უფრო მეტს გეტყვი: მუშა მეფის დასამხობად ჭირდებოდა, ჩამოაგდებდნენ ხელმწიფეს და ბურჟუა მის ადგილზე დაჯდებოდა. ასეც მოხდა ცხრაას ჩვიდმეტის თებერვალში — სისხლი მუშამ და გლეხმა დაღვარა, მთავრობაში კი ბურჟუა წამოსკუპდა. როდემდი უნდა ეტყუებია იმ გაიძვერას მუშა და გლეხიო, იკითხავთ თქვენ და მართალიც იქნებით. მაცალეთ პატარა და გაყურებიებთ მაგის სეირსო, თქვა ლენინმა. იმან ყორიფელი იცოდა, მარა ისტორიის კანონზომიერებას ხომ ვერ გადაუხვევდა? ჰოდა, ისე აგიხდეთ ყორიფელი, რავარც მისი სიტყვები ახდა — რამდენიმე თვეში უბუთქეს იმ შენს ბურჟუას და უკანმოუხედავად გააბუნძულეს. ქალის კაბა გადაიცვა იმ ლაჩარმა და ისე გაიპარა.

ზურიკელამ გულიანად გაიცინა.

— რავა, ტყუილს ვამბობ? — შეჩერდა ილარიონი.

— გადასარევად ყვები! — დაამშვიდა ზურიკელამ.

— ჩერჩილის მერე მაგნაირი პოლიტიკოსი არ დაბადებულა! — სრული სერიოზულობით განაცხადა ილიკომ.

რევოლუციამდელ-პრეისტორიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

აზნაურობა — რევოლუციამდელი პრივილეგიური წოდება. გადაეცემოდა მემკვიდრეობით, როგორც, მაგალითად ამჟამად — ექიმობა, მუსიკოსობა, მსახიობის თუ მხატვრის პროფესია. ზოგჯერ იღებდნენ რაიმე დამსახურებისათვის ან იძენდნენ ფულით.

ანგელოზები — წმინდა სულის ზებუნებრივი არსებანი. ადრე ცოტანი იყვნენ, არც ახლა არიან ბევრნი.

ბანკირი — მდიდარი, რომელიც მოხვეჭილი ფულის შესანახად იყენებდა ბანკს ახლანდელი მომხვეჭელისაგან განსხვავებით, რომელიც ფულს მიწაში მარხავს.

ბიუროკრატი — მმართველობაში მრგვალი მაგიდის გარშემო მსხდომ საქმის დამაბრკოლებელ უსაქმურ საქმოსანთა წარმომადგენელი. დღემდე აქა-იქ შემორჩენილია შემოჩენილივით.

ბურჟუა — საწარმოო საშუალებათა მფლობელი კაპიტალისტურ საზოგადოებაში. აშკარად ეწოდა დაქირავებული შრომის ექსპლუატაციას. ჩვენთან ბურჟუა შეიძლება ეწოდოს მოქალაქეს, რომელიც უშრომელი შემოსავლით ცხოვრობს.

დახლიდარი — ვაჭარი, რომელიც დახლზე დაწყობილ საქონელს ყიდდა ზედმეტ ფასებში ლეგალურად, მსგავსად ზოგიერთი ახლანდელი გამყიდველისა, რომელიც ასევე ზედმეტ ფასებში ყიდის საქონელს, მხოლოდ არალეგალურად, დახლის ქვეშიდან.

ექსპლუატატორი — სხვისი ნაშრომის მიმთვისებელი ზოგიერთი თანამედროვე თანაავტორივით.

მემამულე — კერძო მიწათმფლობელი. მამულს ამუშავებდა სხვისი ხელით, საზოგადო ნაკვეთივით, მაგრამ პატრონობდა საკარმიდამო ნაკვეთივით.

მძარცველი — ექსპლუატატორული კლასის წარმომადგენელი, აგრეთვე ყაჩაღი და წამგლეჯი. მცირე მასშტაბით აქა-იქ ახლაც ბოგინებს ზოგიერთ დაწესებულებაში, ქუჩაში, ბაზაში, ბაზარში და სხვაგან სხვადასხვა ხელობითა და პროფესიით.

პროხტიტუცია — სიბილწე, საკუთარი სხეულით ვაჭრობა, წინათ — უქონელთა სოციალური სენი. ამჟამად ნარკომანიის მსგავსად ფეხს იკიდებს ტუტუცთა, უმაქნისთა და გაქსუებულთა შორის.

ღმერთი — ზებუნებრივი უზენაესი არსება. როგორც ირკვევა, არც წინათ არსებობდა და არც ახლა არსებობს.

ჩინოვნიკი — თანამდებობის პირი. ხელფასსა და ქრთამს იღებდა ჩინის შესაბამისად. გადმონაშთის სახით ზოგიერთი თანამდებობის პირის მიერ ჩინის შესაბამისად ქრთამის აღების ფაქტს ახლაც შეიძლება შეეხვდეთ.

ა. ბ ა

— ძალაუფლება კი ჩაიგდო მუშამ ხელში, ჩემო ზურიკელა, მარა მთავარი საქმე წინ იყო — ახალ ცხოვრებას მოწყობა ჭირდებოდა! ვინ გაცალა? დაგვესიენ იქით-აქედან: ეს ანტანტა ვარო, ეს იაპონია ვარო, ეს — დენიკინიო, ის — კოლჩაკიო, აგი — ვრანგელიო!.. მარა გაუძლო, გარეკა ჭილყვავები, გაიმართა მხრებში, გალაღდა და ოცი წლის მერე მთელ დუნიას გამოუცხადა: სოციალიზმი ავაშენე, აგერ თქვენ და აგერ მეო!

ზურიკელამ და ილიკომ ტაში დასცხეს.

— ცოტა ხმადაბლა დაუკარით! — მშვიდად თქვა ილარიონმა, — ნამეტანი სატაშედ არ ყოფილა საქმე. ბურჟუა კბილებს ილესავდა და სახლშიც შავბნელი ამბები დატრიალდა. ახალმა ყოფამ კი გაიმარჯვა, მარა კლასობრივი ბრძოლა ნამეტნავად გამწვავდაო და წამოვიდა სისხლის მდინარე. ბევრი უდანაშაულოს სისხლი შეერთო იმ მდინარეს, ჩემო ზურიკელა. შორს რომ არ წავიდეთ, მამაშენის და დედაშენის მაგალითიც გვეყოფა.

— ვისი ბრალი იყო მაგი? — იკითხა ზურიკელამ.

— უმიზეზოდ რომ არაფერი ხდება, ჩემზე უკეთესად მოგეხსენება. ჰქონდა მაგას ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ისტორია, ჩემო ბიძიკო, ყველას მიუჩენს თავის ადგილს და უტყუარ განაჩენს გამოუტანს.

— მერე? უდროოდ წასულებს რამე ეშველებათ?

— მერე, ჩემო ზურიკელა, ყველაზე მძიმე დრო დაგვიდგა — წამოვიდა პირსისხლიანი ანტიქრისტე და ჩვენი მიწასთან გასწორება მოინდომა. ძალიან კი გავწამდით, მარა სამართალმა პური ჭამა — თვითონ მოისპო და მოსორომგორომდა. თავიდან დავიწყეთ ყორფელი, გადავხვიეთ ხელი ერთმანეთს და იმ ზღაპრულ ფენიქსივით ავღორძინდით ფერფლიდან და ნაცრიდან. კიდევ ერთხელ დაეფსო თვალი ბურჟუას, მაგრამ შეშინდა. მას მერე პირში გვიცინის, მარა ზურგსუკან კბილებს აკრაჭუნებს. ომის მერე ისევ გავიმართეთ წელში, ბევრი კაი საქმე გავაკეთეთ. ჩამოვთვალოთ?

— ყამირი ავითვისეთ! — თქვა ზურიკელამ.

— დნეპრჰესი და ციმლიანსკი ავაშენეთ! — ჩაურთო ილიკომ.

— კიდევ? — გამომცდელად იკითხა ილარიონმა, — რა მოხდა მნიშვნელოვანი ორმოცდაათიან წლებში?

— ორმოცდაათიანში? — ჩაფიქრდა ზურიკელა, — წამოვაყენეთ საყოველთაო განიარაღების პროგრამა!..

— კიდევ? — არ მოეშვა ილარიონი, — კაი, მე გეტყვით: — შეიქმნა და დაისტამბა დიდებული ნაწარმოები — ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“!

ზურიკელამ და ილიკომ ტაში დასცხეს.

— ამის მერეც ბევრი სასახელო საქმეები დავატრიალეთ, მარა ოავში აგვივარდა და წინსვლის მაგიერ „ადგილზე ნაბიჯით იარ!“ დავიწყეთ. მერედა, რავა გგონიათ თქვენ, ისტორია მაგას გაპატიებს? თავი იჩინა ნეგატიურმა მოვლენებმა!..

— გადმონაშთებმა ხომ? — ჩაურთო ზურიკელამ.

— რას გეტყვი, იცი, ჩემო ზურიკელა? — ყველაფერს გადმონაშთის აბრას ნუ ჩამოკიდებთ! კი, ბატონო, ცრუმორწმუნეობა, ქალეხობია და თათქარიძეობა, მეშჩანობა და პროვინციალიზმი ხომ წარსულიდან მოგვდევს, მარა ბევრი შავი საქმე და თვისება ჩვენი ყოფისგანაა ნაშობი და ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება!..

— მაგალითად? — მოუთმენლად ჰკითხა ზურიკელამ.

— მაგალითად: წამატება, თვალისახვევა, უსაქონლო ოპერაციები...

— „ლევი ტავარი“! — ჩაურთო ილიკომ.

— სწორი ბრძანდებით, — დაეთანხმა ილარიონი, — მარცხენა, ანუ დახლქვეშა საქონელი ჩვენი მოგონილია! ჩვენი შექმნილია ის, რუსები რომ „ხალტურას“ უძახიან.

— ქაღალდმანია, თათბირომანია... — დაიწყო ჩამოთვლა ილიკომ.

— ერთი სიტყვით, — განაგრძო ილარიონმა, — ცუდად შეგვექმნა საქმე, ჩემო ზურიკელა, მარა მტრის ჯინაზე დროზე ავუღეთ ალღო შექმნილ ვითარებას და ხმამაღლა დევიძახეთ: ფრთხილად, ახალი ცხოვრების ამშენებელო მუშავ და გლეხო, ნუ გძინავს ყურზე, თვარა გალაღდება სატანა და უყარე მერე ქაქალი! თუ ყველა წინ მიდის და შენ ადგილზე იტკეპნები, სიკეთე სიაგედ გექცევა! თუ არ გადავკეთდით და გარდავიქმენით, თუ ძირფესვიანად არ შევიცვალეთ, საშველი არ დაგვადგება, ჩემო ბიძიკო! ახლა ყოველი ჩვენგანი რევოლუციონერი უნდა იყოს, ჩემო ზურიკელა! აბა!

— ახლა ის გაკლია, ბერიკაცო, ფიშტო ეიღო და ისროლო! — სიცილი წასკდა ილიკოს.

— აგი უსისხლო რევოლუციაა, ჩემო ილიკო, ზემოდან რევოლუცია, მარა შენ რას გეიგებ?!

— შენზე ნაკლებად არ მესმის მე მაგი ამბავი, — იწყინა ილიკომ, — სამოცდაათი წელი ტყუილად კი არ გვიწვალია. პატარა მეითმინეთ და აგერ ნახავთ, ყორფელი ისე იქნება, რავარც ჩვენ გვინდა!

— ილარიონ, — ჰკითხა ზურიკელამ, — რავა ფიქრობ შენ, ომი იქნება?

ილარიონმა პასუხი არ გასცა, ორივეს გამომცდელად შეხედა თვალებში, ჩამქრალი ყალიონი გააჩაღა და კარგა ხნის მერე თქვა:

— ომი — არა, მარა მშვიდობისათვის იმისთანა ბრძოლა ატყდება!..

სამთავემ გულიანად გადაიხარხარა.

ცოტა ხნის მერე ზურიკელას ოთახიდან ხმადაბალი კრიმანჭული ისმოდა.

ლერი ჩანტლაძე

ოქტომბრის 4 საგალობელი

სამოცდაათი წლისა ხარ
ასამდე ერის მშობელი,
შენს იუბილე-ზარ-ზეიმს
შეხარის ყველა მშრომელი!
მსოფლიოს ერთ მეექვსედზე
მოხველ „ავრორას“ ქუხილით,
რომ აგეცდინა ხალხისთვის
შავბედობა და წუხილი!
სამოცდაათი სტრიქონი
მინდა აგინთო სანთლებად,
ჩანგი და ქნარი მოვმართო
საგალობელის სათქმელად!
გვიძღვი ნამგლით და ეროთი
გამოჭედილო სამშობლოვ,
თხუთმეტი ძმისდა იმედად
ბედის ვარსკვლავად ნაშობო!
რამ დაგვავიწყოს დღეის დღის
გამნათებელი ის წლები,
დიდი ლენინის გენიით
„ისკრის“ ცეცხლით რომ ვანყებით!
ვინყებით და არ ვთავდებით
ჩვენი ყლორტით და ფუსუებით,
ერთად რომ შეგვადუღაბა
ძმობის, ერთობის მთესველნი!
ბევრი გვყოლია გულმტერი —
საერთოცა და პირადიც,
მაგრამ ფიცსავსე ფიალა
გამოგვიცლია ძირამდი!
შენი სამზეოს დრომები
არვის უნახავს დახრილი,
იმათ სიმაღლეს ფარავდა
ჩვენი ფარი და მახვილი!

სამოცდაათი წლისთავი
განა იოლად მოვიდა?! —
გრძელი გზა გამოვიარეთ
სიხარულითაც, გლოვითაც!..
როცა დღემოკლე ფაშიზმი
თავს დაგეჩხაოდა მოსპობით,
დედა და გმირი ქალაქი
მკერდით გვიცავდა მოსკოვი!
თავგანწირვამ და გმირობამ
ცხრა მაისის დღე გვარგუნა
და გამარჯვების კვარცხლბეკზე
მშვიდობამ დაისადგურა!
მას მერე გაწვრთნილ მარჯვენით
სულ ვიშუშებდით იარებს,
და ქვეყნის ასაშენებლად
ძმურად, მხარდამხარ ვიარეთ!
ქვეყნად გაჩენას გილოცავთ
უერთგულესი სათქმელით:
რუსი და უკრაინელი,
ბელორუსი და ქართველი!
დიდ იუბილარს გიმღერის —
ლამის დაუსკდეს ფილტვები —
მოლდაველი და სომეხი,
ლატვიელი და ლიტველი!
ეჯიბრებიან ერთმანეთს,
რომ არვინ დარჩეს უთქმელი —
ყაზახია თუ ტაჯიკი,
ესტონელი თუ თურქმენი!
შენ უსმენ აზერბაიჯანს,
უზბეკეთსა და ყირგიზეთს!
მათი ნათელი ღერბები
შენს სადროშეზე გიზგიზებს!
თვალებში შემოგციცინებს
დიდი მომავლის ნერგები,
გარდაქმნით, დემოკრატიით,
სავსე რწმენით და შეგნებით!
უთვალავ სამოცდაათით
იარე ჩვენდა იმედად,
და მაპატიე, სურვილებს
ტცირე ლექსით რომ გიბვდავ:

გურამ კლდიაშვილი

ლეონიდ სუხორუკოვი

(კ ი ე ვ ი)

ნაკვესები

● **თავბრუ** შ ე ი ძ ლ ე ბ ა მაშინაც დაგეხვეს, როცა უთავო ხარ!
● **ზოგი** თ ა ვ ა ზ ი ა ნ ო ბ ა კარგად რედაქტირებული უხეშობაა.
● **პარადოქსი:** სუ ლ ი მაშინ გიმძიმდება, როცა ცარიელი გაქვს!
● **წართმევის** ნ ი ჭ ს მას ვერ წაართმევთ!
● **ისე** შ ო რ ს წავიდა, რომ აღარ ჩანდა.
● **არცთუ** ი ო ლ ი ა შეეფარო ჩრდილს, რომელიც თავს თვითონ მიაყენე!
● **ყოვლისშემძლენი** ა რ ი ა ნ მეფენი... დედოფლების არყოფნის დროს.
● **რამდენი** ჭ კ უ ა უნდა გქონდეს, რომ ეჭვი არ შეგეპაროს მის არსებობაში!
● **ნაჩუქარ** ცხ ე ნ ს კბილს არ უსინჯავენ კიდევ იმიტომ, რომ მის პატრონს პირში შესცქერიან.
● **თუ** ც ო ლ ს კარგი გემოვნება აქვს, ეს ნიშნავს, რომ ქმარსაც ასეთივე ხელფასი უნდა ჰქონდეს.
● **ანონიმისტის** ა ღ ი ა რ ე ბ ა: „მასზე ცუდ სიტყვას ვერ იტყვი, იძულებული ხარ, წერო!“
● **ზოგ** პ ლ ა გ ი ა ტ ო რ ს მხოლოდ კარგი გემოვნება შველის.
● **ზოგჯერ** ა რ ა ფ ე რ ი ისე არ გვეხმარება, რომ მოწოდების სიმაღლეზე ვიდგეთ, როგორც კვარცხლბეკი.
● **სამსახურებრივი** რ ო მ ა ნ ი ც შეიძლება ფელეტონში გადაიზარდოს.
● **ზოგჯერ** წ ი ნ მიმავლისათვის უდიდეს დაბრკოლებად იქცევა ხოლმე, ვინც მის უკანაა.
● **ზოგჯერ** ფ ს კ ე რ ი ს კ ე ნ ისე ძალიან არაფერი ეწევა, როგორც ზედაპირზე ამოტივტივებული ფაქტები.
● **თუ** ჩ რ დ ი ლ ი მოგაყენეს, თავაზიანად დაუბრუნე უკან!

თარგმნა ელგუჯა მერაბიშვილმა.

● **ზოგ** „ვ ა ქ კ ა ც ს“ დამიზნებული თოფის კი არა, თოხის ეშინია.
● **ზოგჯერ** ი მ ა ს ცავს მილიცია, ვისაც ფული მიუცია.
● **სამსახურიდან** ი მ ცალ ფეხსაც არ იცვლიდა, სამარეში რომ ედგა.
● **ისე** ი რ თ ვ ე ბ-ი კ ა ზ მ ე ბ ო დ ა, ვერ გამოიცნობდით, რა სქესისა იყო.
● **ვინც** „ჭ ა ჭ ა ს“ ეტანება, დიდხანს ვერ იჭაჭანებს.
● **უწინ** ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ს ხელს სთხოვდნენ ჭაბუკები, ახლა ხელის ჭუჭყს სთხოვენ.
● **ოქროს** პ ა ტ რ ო ნ ი ვერა და, ოქროს ხასიათისა კი ფასობს.
● **რწყილი** და ჭიანჭველა დაძმობილდნენ, ზოგიერთი მეზობლები კი — ვერა.
● **ფარდული** ა შ კ ა რ ა დ მუშაობდა და მეფარდულე ფარულად მდიდრდებოდა.
● **ლოთები** წ ა ქ ც ე ვ ა მ დ ე სვამდნენ და მებუფეტე ფეხზე დააყენეს.
● **მეზობლის** ძ ვ ი რ ფ ა ს ჭალზე დარდმა გააჭაღარავა.

ოთარ ნაბუებია
(ქ. ს ო ხ უ მ ი)

ნახ. ნ. ასლანიშვილისა

უსიტყვოდ

აი, რას გვთხოვს

გარდაქმნა!...

ჩვენში რაღაც დაგუბდა და დამყაყდა,
ბევრის თვალში არ მზისფერობს მზისფერი!..
„ა მ ხ ა ნ ა გ ო“ ხშირად არ ეღერს ამაყად, —
მავანს ეტყვი, — დამცინავად გიცქერის!

ფასს ყურძნისას უსწრებს ტყემლის, შინდისა...
ჩრდილი ბინდავს ზოგჯერ კაცის ოცნებას!..
ზოგჯერ ფულზე იყიდება სინდისი,
გროშის ფასი აძევს პატიოსნებას!

ზოგნი ბნელით ვერ არჩევენ სინათლეს,
„მაღლა“ დგანან და ცოუნება დიდია!
სიტყვით — რიხით ღაღადებენ სიმართლეს,
საქმით — ჩუმად, უსინდისოდ ყიდიან!

ზოგჯერ ვხედავთ სამარცხვინო ინციდენტს:
მართალს იტყვი? უმალ ჭვარზე გაცვამენ!..
დასცინიან ხშირად კაცის სიწმინდეს,
ხალხს, მარჩენალს, დღისით-მზისით ძარცვავენ!

გავხსნათ სულის იდუმალი ზარდახშა!
დავგმოთ, რაიც აღარასდროს არ მოხდეს!
თუმცა კი ჭირს: განახლება-გარდაქმნა
ჭგავს, საკუთარ თავიდან რომ ამოხტე!

ვარჩევთ რას და — ისევ ბრძოლის არჩევანს!
გასაკიცხი დაუნდობლად გავკიცხოთ!
შევძლოთ ძნელი: ტყუილ-მართლის გარჩევა,
საკუთარ თავს სხვაზე მეტად მოვკითხოთ!

„რაში შევცდი? რა ვქმენ შეუწონელი?“
თავს ვკითხოთ, ვით მართლის ქომაგთ შეჰფერის!
აღვიკვეთოთ მტკიცედ ნაკლი ყოველი!
უნდა შევძლოთ, შევძლოთ... შეუძლებელიც!

ძალა დემოკრატიზმისა ვადიდოთ!
ნაკლი ჩვენი გავიტანოთ საჯაროდ!
ცუდი რამ გვჭირს? ნურც მე, ნურც სხვას დაგვინდობთ,
მოგვდექით და ყველას თვალწინ გაგვჯორეთ!

დე, კაცობის მაღლდებოდეს სინდიყი,
ნათელს ვვლიდეთ, განა ბნელს და ქარდაქარ?!
წმინდა გული, წმინდა სული, სინდისი! —
უპირველეს აი, რას გვთხოვს გარდაქმნა!

ამირან მიქაუტაძე
(ქ. ს ო ხ უ მ ი)

ხომ იცით, ახლა რა დროა?

ზოგ-ზოგმა სიტყვა „გ ა რ დ ა ქ მ ნ ა“ თავისებურად გარდაქმნა:
თუკი კლიენტი ნაცნობი, საიმედო და სანდოა,
ახლა მეტს ითხოვს იმისგან, თან თავს იმართლებს: „მა, რა ვქნა,
ჩალიჩი ყველგან გაძნელდა, ხომ იცი, ახლა რა დროა?“
ჩვენ აქ ვაფრთხილებთ სუყველა ქორვაჭარსა და მექრთამეს: —
ეგ გზა ქონების მოხვეჭის საშიში და საავდროა!
დროა მოეშვათ ყოველგვარ საძრახისსა და ბნელ საქმეს!
დღეს მეტად მოგეკითხებათ, ხომ იცით, ახლა რა დროა!

რევაზ ნიჟარაძე

ნაზი კილოსანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შეშლილი ქალები“

დილა-დაფიონზე
მძინარმ\ თვალებით
ქალაქს დაფრინავენ
შეშლილი ქალები!..
მათი სიმპტომები? —
მეტით თუ ნაკლებით —
ს ი რ ბ ი ლ ი!
ხ ტ ო მ ე ბ ი!
ჩ ა ნ თ ე ბ ი!
პ ა რ კ ე ბ ი!..

თმები — გაწეწილი.
ჩაცმა — შერეული,
ჩანთებში — მეტწილად
რძე და ყველეული!..
მათი გემოვნება —
უმოდოც, მოდურიც!..
ქათამი — უნგრული,
წიწილა — კოდური!..
ნაბიჯით ნაჭედით
ერთიდან ოცამდე
დიეტურ ხაჭოსთვის
ერომანეთს ხოცავენ.
ეჭვიან პროფილით:
(სხვებმა რა იშოვეს?!)
ნადღი ყოფილა?!
თავდება?! მიშველეთ!..
და ცხრას რომ ითვლიან
წამმზომზე წუთები,
სამსახურს ილტვიან
დაღლილი კუნთებით!..
მერე სკამებიდან
ტრიალით, წრიალით,
ოჯახებს იკლებენ
ტელეფონ-წკრიალით:
— რძე არ გადმოვიდეს!
— ქათამი აქენი?
— წყალი არ მოვიდა?
— უიმე, რა ქენი?!
...დღის ბოლოს —
სიმბოლოდ:
შეშლილის ნიშნებით,
დატვირთულ მკლავებით
ქუჩაში იშლება
ქალები!.. ქალები!..
ტრანსპორტის კარებშიც
კუნთები კუნთობენ,
ოცნება სკამებზე, —
ხან-ხან რომ უთმობენ!..
...კაცებო, კაცებო,
ხომ ცხოვრობთ ნებივრად,
ეს მაინც გვაცნობეთ —
გმირი ქალები ვართ!

* * *

აუცილებლად — „აჩკები“,
დაუცილებლად —
„უვაჩკები“,
ვით ფართლეულის ვაკრები
ფერად-ფერადი ნაკრებით!..
მართლაც რომ
ბოლის ყურები,
ყურებზე —
ჩხარაჩხურები!..
ეგების დავაგდებინო
წარამარ სიტყვა
„დებილო!“
ოქნებ, არც რა ვთქვა,
გავჩერდე,
თითო რომ სამ შვილს

აჩენდეს!
...ჩემო ლამაზო ბავშვებო,
მიმოიხედეთ გარშემო:
თქვენი დედობის დიდება
მთლად საქართველოს
ს ვ ი რ დ ე ბ ა!

ა ვ ტ ო ბ უ ს შ ი

ადგილს ვუთმობ:
— „დაბრძანდით,
საყვარელო ბებია!..“
იგი მიბღვერს:
„სიცოცხლე ხომ
არ მოგბეზრებია?!“
ვხედავ, შეუღებია
პ ი რ ი,
ს ა ხ ე,
უ ბ ე ბ ი ა!..
მიბღვერს ავტობუსიცა:
„სახლში გიზის ბებია!..“
რაკი მე ვარ მართალი,
ვზივარ,
ძვრასაც არ ვშვრები!..
დისკუსიას მართავენ:
„დღევანდელი ბავშვები!..“

ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული 300-მდე საწარმო დღემდე არ მონაწილეობს მის წარმოებაში. ბევრ საყვედურს იწვევს საქონლის ხარისხი, ამიტომ მასზე არ არის მოთხოვნა და ჩაწოლილია საბაჟრო ჭელში... 50 პროცენტზე მეტი უკავია გაუსავლიან და ჩაწოლილ საქონელს, რომლის მეტი ნაწილი გამოუშვეს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა.



ნახ. ბ. ლომიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



პავლე ხმარა

ჩემო ძვირფასო, მე შენ გაღმერთებ,
მაგრამ ფეხს ვუწყობ სიახლის გრძნობას
და გული შენს წინ სანთლად დავღვენთე,
როგორც მოითხოვს საჯაროობა!
მე შენ მიყვარხარ წელი მრავალი,
შენ კი სიმკაცრით გულს მიკლავ მუდამ,
ჩემო შრომითო შემოსავალო,
კანონის ძალით მიგიღო უნდა!

იქნებ არ გინდა, დაბეგვე ჩემს ნებას,
არ გინდა გახდე ჩემი რჩეული,
დაჩქარებული დაახლოება
ჩემი სულის და ჩემი სხეულის!

შენგან დამჩემდა გულის ფრიალი,
მოვფრინავ შენკენ გაშლილ ფრთებითა,
მაგრამ ფერხდება ჩემი ტრფიალი
უმოძრაობის პრობლემებითა!

მწვავე სიყვარულს ტკივილით ვითმენ,
ახე ერთგული არვინ გყავს ახლა
და ხახელმწიფო მიღებამ თვითონ
ჩემს სიყვარულში წუნი ვერ ნახა!

ამაღლებული ამ სიყვარულით
ზე მოვევლები ევერესტს თავსო,
თუ არჩევნები გხიბლავს ფარული,
კანდიდატი ვარ, ჩემო ძვირფასო!
შენ სილამაზით ყვავილებს ქარგავ,
მაგრამ ჩემს მიმართ მკაცრი მეგულვი,
ამიტომ გრძნობას სჯირდება, კარგო,
გარდაქმნის ტემპი დაჩქარებული!
ბედნიერებით სავსე მიწაზე
მოვქრიავარ შენკენ ნაბიჯით ჩქარით,
თუ ჩემი გზიდან არ მოგიტაცებს
დიდ ცვლილებათა ახალი ქარი!

ოარგმნა ვახტანგ გოგოლაშვილმა

ყველაფერი ისევ გადაბრუნდება

იუმორესკა

დემოკრატია, საჯაროობა!... — ლუკიანე ყოველდღე კითხულობდა გაზეთებში. გადაწყვიტა, ახალ ვითარებაში როგორმე თავი ესახელებინა. ფაბრიკაში კვარტალის ბოლოს მძიმე ფინანსური მდგომარეობა შეიქმნა — გეგმა არ სრულდებოდა!.. იმატა რეკლამაციებმა!.. წინათ მას ყოველ კრებაზე დირექტორის ქებაში ძაღლის ყბა ჰქონდა გამობმული. ახლა კი... უნდა გაეკრიტიკებინა, რათა ეთქვათ, რომ განყოფილების უფროსი ლუკიანე სამართლიანი, პრინციპული კაციაო! მით უმეტეს, ხმები დადიოდა, დირექტორს ათავისუფლებენ და ახალს ირჩევენო!..

ბევრი მოხსნილი ხელმძღვანელი გაუცამტვერებია, ქვა ქვაზე არ დაუტოვებია. მაგრამ ეს მაშინ, როცა ურემი გადაბრუნდებოდა და გზა გამოჩნდებოდა. ახლა კი რომ მოხსნას გუდა და დირექტორი აღარ მოხსნან, ვინ გაახარებს? ეგებ დირექტორს მარტო საყვედური აკმარონ? ვინ იცის?! — მარჩიელობდა ლუკიანე.

რთული გამოსვლა ელოდა. ამიტომ წინასწარ შეადგინა კრიტიკული გამოსვლის ვარიანტი, შინ დიდხანს მუშაობდა, სარკის წინ ვარჯიშობდა. სიტყვა პიჯაკის მარჯვენა ჯიბეში ჩაიდო, არხეინად და ამაყად გაემართა საერთო კრებაზე.

— აბა, ლუკიანე რას გვეტყვის? — შეასსენეს მორიგ ორატორს.

ლუკიანემ გამარჯვებული სარდლის პოზით გადახედა დარბაზს, ხელი კრიტიკული სიტყვისაკენ ჩააცურა, ჯიბეში ბევრი იფათურა, მაგრამ ვერაფერი იპოვა!.. ელდა ეცა!.. ახლაღა გაახსენდა ხალხით გაჭედილი ავტობუსი. მის გვერდით მდგარი საეჭვო ახალგაზრდები!.. ფული ეგონათ ალბათ!.. ლუკიანე აღმოჩნდა იმ აბიტურიენტის მდგომარეობაში, გამოცდის დროს რომ შპარგალკა წაართვეს

— თქვენ გგონიათ, ფული წაიღეს? — სასოწარკვეთილებით შეჰყვირა დაბნეულმა ლუკიანემ, — არავითარ შემთხვევაში! ფული ადგილზეა, აქ არის, აქ! — და შარვლის ჯიბეზე დაირტყა ხელი.

ზოგი დირექტორს გაფლანგვის ბრალდებასაც უყენებდა და ლუკიანეს თეატრალიზებულმა ჟესტმა მისი მომხრეები გამოაცოცხლა.

— ყოჩაღ, ლუკიანე! დასცხე შენებურად! — შეაგულიანეს იგი.

ამით გათამამებული უშპარგალკო ლუკიანე ალთაბალთას მოჰყვა:

— ჩვენი ტრანსპორტი ცუდად მუშაობს, ყოველდღე გადატვირთულია. ამით სარგებლობენ მოჯიბგირო ელემენტები და სხვის ჯიბეში ყოფენ ხელს. აი შედეგიც, რომელიც დღეს აქ მივიღეთ!..

დირექტორი გაოცებული უსმენდა, ვერ გაეგო, ლუკიანე თავისი ნართაულით აკრიტიკებდა თუ აქებდა.

— საკითხის ირგვლივ ილაპარაკეთ, ორი წუთი დაგრჩათ! — შეახსენეს ორატორს.

ლუკიანემ ერთი წუთი „ბორჯომის“ დალევას მოანდომა, მეორე კი — ცხვირსახოცის ამოღებას და შუბლიდან ოფლის მოწმენდას.

— გთხოვთ ერთი წუთი დამიმატოთ ანდაზის სათქმელად: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო!..“

— ისევ ტრანსპორტზე ლაპარაკობს! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან, — საქმის არსს ნუ გადაუხვიეთ!..

— ამხანაგებო! როგორც თქვენთვის ცნობილია და ჩვენი დირექტორი სერაპიონ ამბაკოვიჩიც დარწმუნდა, ჩემი რეგლამენტი ამოიწურა. თავს აღარ შეგაწყენთ! — და ტრიბუნიდან ჩამოვიდა.

სერაპიონ ამბაკოვიჩი დირექტორად დატოვეს. მეორე დღეს ლუკიანე გამოიძახა და უთხრა:

— მაინც ყოჩაღ! რის გაფლანგვა?! ეს ჩემმა მტრებმა მომიგონეს! მხოლოდ შენ ერთმა დამიცავი, რომ თქვი, ფული აქ არისო! პატივისცემა ჩემზე იყოს!

მალე ლუკიანე დირექტორის ზოადგილე გახდა. ფაქტობრივად იგი ჯიბგირებმა დააწინაურეს!..

სტეფანე მხარგრძელი

ლექსები სავარძელს

ბორის პანდეი
(ინდოეთი)

I

როცა მავანი მიწაზე იდგა,
მას სავარძელი გროშად უღირდა,
როგორც კი ჩაჯდა რბილ სავარძელში,
თვით დედამიწაც ეპატარავა.

II

არ აშორებდა ის თვალს სავარძელს
და სავარძელიც
მას უმზერდა ხარბად, ჯიუტად,
სულში ჩამწვდომი მზერით უმზერდა
და თავის თავში ისე ამწყვდევდა,
როგორც მავანი განდიდებული
შეუბრალებლად ხალხს ამწყვდევდა
საპატიმროში.

III

თქვენ სავარძელი არ გეგონოთ,
უბრალო რაღაც მოწყობილობა,
გაკეთებული ხითა და რკინით! —
ეს — ყოვლისშემძლე მექანიზმია
ჩვეულებრივთა ასამაღლებლად,
მისი სიმაღლით იზომება
კაცის სიმაღლე,
კაცი კი, კარგად მოგეხსენებათ,
როგორიც უნდა იყოს ეს კაცი —
თავისუფალი, თუმც უუფლებო,
ან ბედნიერი, თუმც უბედური, —
თავს ვერ დააღწევს სავარძლის ჭაობს,
რომელიც მუდამ თავისკენ ითრევს.

IV

საჭაღალდეთა სქელ-სქელი გროვა,
გამოჭედილნი საქმეებით ხვავთა და ხვავთა,
უკვე ჰერამდე აღწევდა, მაგრამ
სიმართლე მუდამ რგვიანებდა,
გადადებული ხახვალიოდ და ხამერმიხოდ!..
მშიერ ბავშვებთან ვერ აღწევდა პური
არსობის,
ავადმყოფამდე ვერ აღწევდა ხოლმე წამალი.
მართალს ელოდა მკაცრი ხახელი!..
და სავარძელი, ბოროტების გამომხატველი,
აკანონებდა უკანონობას —
„დემოკრატია და ქრთამები ჩემიანთათვის!“

V

თუ სავარძელი ოდნავ ჭრაჭუნობს,
დემოკრატია ნაკერებზე ირღვევა უკვე!..
თუ სავარძელი უკვე ირყევა,
ნიშნავს: ქვეყანა ინგრევა უკვე!..
თუ დაიშლება სავარძელი,
მორჩა, გათავდა! — დედამიწა დაღუპულია!
იქნებ როგორმე სავარძელი გადავარჩინოთ!—
მერე ქვეყანაც, დედამიწაც, დემოკრატიაც, —
ყველა ჯანდაბას!

VI

სიხლის და ცრემლის ოკეანიდან
შეგროვდა ფული აურაცხელი,
მერე ამ ფულზე აღიმართა ის სავარძელი,
რომელიც ყველას მოუდებს ბოლოს,
ვინც კი გაბედავს მიკარებას, ხმის
ამაღლებას!..

VII

ოხვრის და ცრემლის ქვეყანაში
დგას სავარძელი
უძრავად, მშვიდად,
ვიდრე მის ფეხებს
ცეცხლის ალი არ მოედება!..

VIII

ადამიანი, სავარძლიდან გადმოვარდნილი,
გონებას კარგავს
და მხოლოდ მაშინ მოდის აზრზე,
როდესაც იგი
ჭუჭყიან არხში თავს ამოყოფს
მოულოდნელად! —
გამოფხიზლება აქ უხდება სავარძლით
დამთვრალს!..

IX

ნუ განვადიდებთ
და ნუ ვიტყვით სავარძლის ქებას!
თუმცა სავარძელს შეზრდილები
ჩვენ გვარწმუნებენ,
რომ მხოლოდ იგი ახახიერებს
დროსა და სივრცეს!

თარგმნა ალექსანდრე ტაბატაძემ

უცხოური იუმორი

პირიქით

ერთმა ჭკვიანმა ქალმა ერთხელ თავის ქმარს შესჩივლა: — როგორც კი ლამაზ ქალს დაინახავ, მაშინვე გავიწყდება, რომ დაქორწინებული ხარ!

— პირიქით, — უპასუხა მან, — მხოლოდ მაშინ მახსენდება!

შეგრძნებიერი

ორი ქალი საუბრობს თავიანთ ქმრებზე:

— ჩემი ქმარი მიმოზასავით მგრძნობიარეა. მაგალითად, როცა შეშას ვჩეჩ ხოლმე, დაჯდება წყნარად კუთხეში და მწარედ მოსთქვამს იმის გამო, რომ მე ასე ძნელ საქმეს ვაკეთებ.

ოცდახუთი წლის მანძილზე

ოტო: — ოცდახუთი წლის განმავლობაში ვიყავით მე და ჩემი ცოლი ბედნიერნი!..

ფრიცი: — და შემდეგ, შემდეგ რა მოხდა?

ოტო: — შემდეგ ჩვენ შევხვდით ერთმანეთს!..

წინათ და ახლა

— შენი ცოლი კვლავ სიამოვნებით საუბრობს თავის პირველ ქმარზე?

— დიახ, მაგრამ წინათ ის მას აძაგებდა, მე კი მაქებდა, ახლა კი მას აქებს და მე მაძაგებს!

თავისუფალი დრო

— გუშინ საუცხოო საღამო გავატარე!

— ახ, თეატრში იყავი?

— მე არა, ჩემი ცოლი!

ფასი

— შენი ახალი ქუდი ნამდვილი პოეზიაა!

— მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ როდესაც ჩემმა ქმარმა მისი ფასი შეიტყო, იგი დრამად გადააქცია!..

ავი კითხვა

— მაქს, როგორ მოგწონს დღეს სადილი?

— რატომ ეძებ კვლავ ჩხუბის მიზეზს, იოანა?!

ძველი ფეუფარიტელა

— მამა, დედას დაქორწინებამდე დიდხანს იცნობდი?

— არა, ჩემო ბიჭუნა, მე ის მხოლოდ ქორწილის მერე გავიცანი!

ისტორიული თუ ისტერიული

— ახლა უკვე სახლში წასვლის დროა, თორემ ჩემი ცოლი ისტორიული გახდება.

— ალბათ გინდოდათ გეთქვათ ისტერიული?!

— არა, ისტორიული! — შარშანდელ ყველა ცოდვას გამიხსენებს!..

გარანტია

— ბატონო შვინდელ, ოქროს საათი, რომელიც თქვენგან ნახევარი წლის წინათ ვიყიდე, სამ თვეში გაფუჭდა, თქვენ კი მითხარით, რომ იგი მთელ სიცოცხლეს მეყოფოდა!

— დიახ, მაგრამ მაშინ თქვენ ძალიან ავადმყოფურად გამოიყურებოდით!

გერმანულიდან თარგმნა ია რეხვიაშვილმა

26.XI 756

„ნიანგის“ სალაბო

მრელაშვილ ლადოს, კაცსა ამას მეტყუელსა ფრიად, რომელი დღეის აქამომდე ილუჭის ჭელსა სამეოცსა, ვითარც მოძღუართმოძღუარი სრულიად იყალთოისი

ვენაცვლე ლადოს სამართალს: — სულ სხვა ბიჭია ლადუშა!
იყალთოს სახლი გამართა, სახლი კი არა — რატუშა!
მეტოქეს დახვდა კარავთან, ვიწროში აღარ გადუშვა!..
ლადომან, ჩემო იარალ, ვითარც პირველი რაუნდი,
ევროპაც შემოიარა და არაბეთიც საუდის!..
ახლა იყალთოს ირჯების, აიღო ტაიმ-აუტი!..
„იყალთოელი ბიჭები“ მშენებლობაზე დაუდის!..
სიტყვის თქმა იცის მამათებრ, სძულს ორპირობა მზაკვრული,
ბუჩუკურთამდის ანათებს ხმალი, იყალთოს დაკრული!
მოველით ახალ „ოლოლებს“! — ბიჭო, აბა, ჰე! აბა, ჰე!
რომანებ გაგვიოროლე, გაგვიმრავლ-გაგვიყაბახე!..
შენ, ბიჭო იყალთოელო, კრიტიკამ განზე გიარა! —
ქვეყნად ყველაფერს მოგვლო, ამნაირ დუმილს კი — არა!..
გული ამის თქმას მავალებს, — ეს მიშლის, ნერვებს თუ მიშლის!
მაგრამ რას იზამ, მავანნი შვებას პოვებენ დუმილში!..
მადლიან სიტყვის საკმევლით ლადო ბერსა ჰგავს გარეჯელს:
თავს ლაღადა გრძნობს სათქმელი ისე, კრიტიკის გარეშეც!
გევლოს ბილიკი მრავალი (სამოცს ემატოს სამოცი!) —
სულ შენეული ტალავრით, სულ შენეული სამოსით!..

„ნიანგის“ მინაწერი

იყალთოელი მრელაანთ ლადო ქართული პროზის ამშვენებს ყაბახს, სიმართლეს წერს და სიმართლეს ამბობს, მის სიტყვასა და მის საქმეს შაბაშ!

აქა ამბავი ნოდარ გურეშიძე-ეზოის მოძღუარის ლიტფონდის ტახტსა ზედა ალზევებისა — ქამსა ამირანსპასალარისასა

ნოდარ ლიტფონდში დაეშვა — ცით მოწყვეტილი კომეტა!
შეგვიმსუბუქებს კაეშანს „ღარიბთა, არას მქონეთა!..“
აღზევდა მუზის აზარტი, წერით „კლანჭები დაგვაცვდა“!..
მოყმე, იმერეთს ნაზარდი, ხედავთ, სად გაგვითავკაცდა?!
ნათელ დღესა ჰვრეტს ხვალისას მთელი ლიტფონდის ელიტა!
მომკვიდრევ ამირანისავ, შენს ტახტზე ასვლას ველითა!
სულ შენს აღმასვლას შეგვასწროს ამ მესამოცე მწვერვალთან!
გაძღოლა უნდა, შე კაცო, მწვერვალს მიღწეულ მწერალთა!
დანახვა უნდა თავიდან ემაგ სათვალით ფერადით:
ვინაც მწვერვალზე ავიდა, ვის სურვილი კლავს — ვერ ადის!
სუყველამ იმერ-ამიერ კარგად აწონა-დაწონა, —
შენ თუ არ ახვალ, ძამიე, მწვერვალს აზომავ რა ზომა?
იქიდან უნდა გვანახო, კერიას როგორ გვითბობდი,
ან მრევლი როგორ ბალახობს, როგორ ლიტფონდობს ლიტფონდი!
ბევრჯერ გზა ზვავმა გვინამქრა, ბევრჯერ გვილხინდა, გვიჭირდა!..
მაინც ჯან-ღონე გვიმაგრა გაგრამ, ქვიშხეთმა, ბიჭვინთამ!
სამივე ესე „სამთავრო“ გიპყრია, როგორც მეფე ლირს!
იქ ზამთარ არა ზამთარობს, დაჰკრავს სამოთხის ელფერი!
ლიტფონდში დაეც კარავი მესამოცე წლის სავალზე,
აწ არც დაუთმობ არავის ნაამირანალ სავარძელს!
თუ ვინმე თარსმა ითარსა, — ნოდარს ხელ ხმალზე უტაცა, —
ლიტფონდის შეფი ვითარცა, საომრად ჩავა ხუტაცა!
მეც შენკენ ბილიკს მივაგნე, ცთუნებას ვერ გავუძელი:
ყავარჯენივით ვიარგნე „ავადმყოფობის ფურცელი!“

„ნიანგის“ მინაწერი

კაცობით, ლექსით — ხასახელოა, სულ მენატრება, სულ მესიზმრება!..

სუყველგან დიდი საქართველოა, სადაც კი ნოდარ გურეშიძეა!

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

«ნიანგის»
საშრეცილი პროგნოზი ტრიკ

როგორც ამინდის გრძელვადიანი პროგნოზების განყოფილების გამგემ მირიან ქართველიშვილმა გვაცნობა, დეკემბერში მაგნიტური ქარიშხლები მოსალოდნელია 6, 7, 11, 17 და 24 რიცხვებში. სასურველია, ამ დღეებში თავი დავიცვათ ზედმეტი დატვირთვისაგან: არ ავიღოთ ქრთამი, რადგან მისი (ფულის, ძვირფასი ნივთებისა და ა. შ.) გადაცემის მომენტი გულსისხლძარღვებით დაავადებულთ უქმნის სტრესულ მდგომარეობას!.. ვერიდოთ აღნიშნულ დღეებში ანონიმური წერილების წერას, რადგან ადამიანს საიდუმლოს გამეღავნების საფრთხეც ანერვიულებს!.. არ დაესწროთ „დინამოსა“ და „გურიის“ თამაშებს და არც ტელევიზიით ნახოთ ისინი, თუ, რა თქმა უნდა, ეს თამაშები სწორედ მაგნიტური ქარიშხლების დღეებში — 6, 7, 11, 17 და 24 რიცხვებში ჩატარდება!.. ნუ წახვალთ ბაზარში, ხოლო თუ მაინც მოგიხდეთ წასვლა, არ იკითხოთ კარტოფილის, ხორცის, ყველის, ნიგვზის, ავრეთვე ხილის (ვაშლის, ბროწეულის, მსხლის...) ფასები!.. თუ ახალ ბინას გაძლევენ, ნუ დაათვალიერებთ მას მაინცდამაინც ხსენებულ კრიტიკულ დღეებში!.. ნუ წაიკითხავთ აღნიშნულ დღეებში ვერლიბრს!.. სათოფეზე არ წაეკაროთ ავტოპროფილაქტორიუმს!.. არ გასინჯოთ ლატარიის ბილეთები, რაკი მოგების არანაირი შანსი არ გაგაჩნიათ!.. არ დალიოთ ქართული ჩაი და ქართული ლუდი!.. თავი შეიკავეთ არშიყობისაგან, რადგან შიდსის გამო ფიქრიც ზედმეტი დატვირთვაა!..

დანაკარგს, თქვენი ამბავი რომ ვიცი, ჩვეულებრივ დღეებში აინაზღაურებთ!

ტია-ტია

ნახ. ჯ. ლოლუასი

ჩვენი ფეხბურთის შემოდგომა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 21-22 (1752). ნოემბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 06. 10. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 11 87 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3,0, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,8, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. **2421** უე 04887 ტირაჟი 145.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 40 კაპ.
ინდექსი 76137

FD+ 87-756

ნახ. ბ. ლომბიძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საიუბილეო დასაწყისი